# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№10 (1036) 30 იანვარი – 1 თებერვალი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი


# ვის აწყობს ვადამდელი არჩევნები

ბიძინა ივანიშვილი: „ვადამდელ არჩევნებს, მე, პირადად, არ ვისურვებდი. ძალიან მინდა, კანონის ფარგლებში ცხოვრებას მივეჩვიოთ, კონსტიტუციას მოვუსმინოთ და ა.შ. ვადამდელი არჩევნების ჩატარების აუცილებლობასაც ვერ ვხედავ, მაგრამ არაფერი უნდა გამოვრიცხოთ. თუ პროცესები ისე განვითარდა, რომ ამის აუცილებლობა დადგება, ამაში არაფერი კატასტროფა არ არის. თუმცა ეს კარგი არ იქნება და ჯობია, ყველაფერი კონსტიტუციურად განვითარდეს“

გვ. 3

## პრემიერის ახალი ინიციატივა – სამინისტროების აუთვისებელ თანხებს სარეზერვო ფონდში გადარიცხავენ

გვ. 2

როგორ აფასებს ირაკლი ღარიბაშვილი ღარის გაუფასურებას და რა მოუწოდა კონკურენციის სააგენტოს

## TV3 და TVS მაუწყებლობას მარტიდან დაიწყებენ

გვ. 5

რომელ ინვესტორებთან აწარმოებს მოლაპარაკებას ღაღი ეგაძე და როგორი იქნება TV3-ის კონცეფცია

## „სილიკონის სკანდალი“ გრძელდება

გვ. 7

დაცულია თუ არა საქართველო უხარისხო იმპლანტებისგან

## „დუბინკები“ მოკლდება, უდო-ს კომისია უქმდება, „კარცერში“ მოთავსების ვადა მცირდება – ცვლილება 40 კანონში!

ვინ განიხილავს პატიმრების ვადამდე გათავისუფლების საკითხს უდო-ს გაუქმების შემდეგ

გვ. 4

## „ცოლი ადეიშვილის დაცვამ წამართვა, ახლა შვილის გარეშეც მტოვებენ...“

საქართველოდან გაძევებული პატიმრის აღსარება და დაბრუნება სამშობლოში

გვ. 6

## პატიმრის დღიური

## ვაზაგაშვილის საქმის სკანდალური სტენოგრამა

გვ. 8–10

იბეჭდება უცვლელად „აფხაზეთის ხმის“ ნებართვით

# პრემიერის ახალი ინიციატივა – სამინისტროების აუთვისებელ თანხებს სარეზერვო ფონდში გადარიცხავენ

## როგორ აფასებს ირაკლი ღარიბაშვილი ლარის გაუფასურებას და რა მოუწოდა კონკურენციის სააგენტოს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, 29 იანვარს გამართულ მთავრობის სხდომაზე აღნიშნა, რომ 2015 წელი საკმაოდ რთული იქნება და მთავრობა გაათმაგებული მობილიზებით უნდა შეხვდეს ამ გამოწვევებს. პრემიერ-მინისტრმა იმ ნეგატიურ პროცესებზეც ისაუბრა, რაც მსოფლიოში მიმდინარეობს და ეკონომიკურ გუნდს მიმართა, რომ ყოველი თვის დასაწყისში, მთავრობის სხდომაზე ბიუჯეტის შესრულების ანგარიში წარადგინონ.**

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, მთავრობის წევრებს ერთმანეთთან კომუნიკაციის პრობლემა არ აქვთ. ვიცე-პრემიერის, გიორგი კვირიკაშვილის ხელმძღვანელობით შექმნილია სამუშაო ჯგუფები, სადაც ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს დეტალურად იხილავენ. თუმცა პრემიერ-მინისტრმა მთავრობის წევრებს მიმართა, რომ სამინისტროების დიდი მობილიზება აუცილებელია. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე უწყება, არგუმენტების გარეშე, თანხების ათვისებაზე ან ეფექტურად გახარჯვაზე ანგარიშს ვერ წარადგენს, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, ეს თანხები ფინანსთა მინისტრმა სარეზერვო ფონდში უნდა მიმართოს: **„თუ რომელიმე უწყება არგუმენტების გარეშე, ვერ აითვისებს ან ვერ გახარჯავს თანხებს, ეს თანხები სარეზერვო ფონდში მიმართეთ. სხვა უწყებებისთვის და სხვა მიმართულებით გამოვიყენოთ მიზნობრივად. 2015 წელს, ძალიან მნიშვნელოვანი პროექტები გვაქვს დაგეგმილი. იქნება ეს ჰესების მშენებლობა, წარმოების წახალისება, ადგილობრივი წარმოების განვითარება, თუ საწარმოების მშენებლობა. კვე დამუშავებული გვაქვს რიგი პროექტები და ახლა აქტიურ კომუნიკაციას ვიწყებთ ბიზნესმენებთან, კომპანიებთან, რომლებიც დაინტერესებული იქნებიან რეგიონებში ინვესტიციების ჩადებით. რაც მთავარია, მთავრობამ და კერძო სექტორმა უნდა მოახერხოს, რომ ჩვენი, ერთობლივი ძალისხმევით, აქტიურად დავიწყოთ ინვესტიციების ჩადება. რაც შეეხება ტურიზმს, გვინდა, თვის ბოლომდე დაიწყოს ელექტრონული ვიზების გაშვება, რადგან ელექტრონული ვიზები გაამარტივებს ტურისტების შემოსვლას საქართველოში“.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა პრემიერ-მინისტრს დაუდასტურა, რომ, თუ რომელიმე უწყება თანხას ვერ აითვისებს, სარეზერვო ფონდში მიმართავს. მთავრობის სხდომაზე ხადურმა ბიუჯეტის შესრულების ანგარიში წარადგინა: **„28 იანვრის საღამოს მდგომარეობით, ბიუჯეტში მობილიზებულია 519 000 000 ლარი ანუ ორი დღის განმავლობაში, გეგმის შესასრულებლად 21 000 000 ლარი გვჭირდება. საშუალოდ, დღეში 30 000 000 ლარამდე გადასახადები შემოდის, რაც თავისთავად ცხადია, შარშანდელ მონაცემებს აღემატება. ვიზიარებ თქვენს მოსაზრებას, რომ ძალიან დაძაბული წელი გვექნება. შემოსავლების სამსახური, ზედმეტი ხელისგადაგრეხის პოლიტიკის გარეშე, ყველაფერს აკეთებს, რაც ძალიან კარგია და ბიუჯეტი სრულდება. შემდეგი თვის პირველ რიცხვებში, მთავრობის სხდომაზე, სამინისტროების მიხედვით, ბიუჯეტის ხარჯვის ანგარიშს წარმოვადგენ. თავისთავად ცხადია, რომ განსაკუთრებულ აქცენტს კაპიტალური ხარჯების შესრულებაზე გადავიტანთ“.**

საქართველოს მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკის მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ იმ პირობებში, როდესაც ქვეყნის საგარეო კუთხით, არასახარბიელო ეკონომიკური ვითარებაა, საჯარო და კერძო სექტორებს შორის პარტნიორობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს: **„მართლაც, მნიშვნელოვანი კონსოლიდაცია მოგვიწევს, რათა ამ ეტაპზე, ფისკალური სტიმულირების, ასევე საჯარო და კერძო სექტორებს შორის სწორი პარტნიორობის მოდელებით, უარყოფითი საგარეო ეფექტების დაბალანსება შევძლოთ“.**

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე საქართველოში არსებულ საწვავის ფასებზეც ისაუბრა. ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ მიუხედავად მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის კლებისა, ჩვენს ქვეყანაში საწვავის ფასი არ იკლებს. ამიტომ პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ მოუწოდა კონკურენციის სააგენტოს, რომ ნავთობპროდუქტების ბაზრის კვლევა განაგრძოს: **„კითხვებს იწვევს ჩვენს ქვეყანაში საწვავზე არსებული ფასი, რაც ნაკლებად ადეკვატურად ასახავს საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასის კლებას. როგორც ყველასთვის ცნობილია, გასული წლის მეორე ნახევარში, მსოფლიო ბაზარზე, ნავთობის ფასის შემცირების მნიშვნელოვანი ტენდენცია დაიწყო და დღევანდელი მდგომარეობით, დაახლოებით, 300%-იანი კლებაა“.**

პრემიერ-მინისტრი ლარის გაუფასურების თემასაც შეეხო, რასაც პირდაპირ უკავშირებს საერთაშორისო მოვლენებს. მისი თქმით, მსოფლიოში, დოლარი სხვადასხვა ვალუტასთან მიმართებაში მყარდება და ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის წევრებს ყველა იმ ვალუტის კურსი გააცნო, რომლებიც დოლართან მიმართებაში გაუფასურდა. პრემიერ-მინისტრმა მთავრობის წევრებს მოუწოდა, მაქსიმალურად მეტი ინფორმაცია მიაწოდონ საზოგადოებას, რათა პანიკის საფუძველი არ იყოს. მისი თქმით, ლარის გაუფასურება საშიში არ არის და პროდუქტებზე ფასების მატებას არ გამოიწვევს: **„ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული არაფერი ხდება, ეს არის მთელ მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციები. ამას კარგად გააზრება და ახსნა სჭირდება. როდესაც საზოგადოებაში მსგავსი კითხვები არსებობს, მაქსიმალურად დროული რეაგირებაა საჭირო. ჩვენს ქვეყანაში მცურავი გაცვლითი კურსია, რაც საქართველოს ეკონომიკისთვის ყველაზე ოპტიმალური რეჟიმია. საშუალო და გრძელვადიან პერიოდში, ჩვენი ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობას საფრთხე არ ემუქრება. კურსის გაუფასურების გამო კი ფასების მნიშვნელოვან ზრდას არ უნდა ველოდეთ“.**

## ევროსაბჭომ რუსეთის სანქციები ძალაში დატოვა და აპრილამდე ხმის უფლებაც ჩამოართვა

საპარლამენტო ასამბლეის დეპუტატებმა გადაწყვეტილება 160 მომხრე 42 წინააღმდეგ მიიღეს.

საპარლამენტო ასამბლეის დეპუტატებმა რუსეთის მხრიდან საქართველოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაც მოითხოვეს.

ამასთან, რუსეთს კიდევ ერთი ვალდებულება დაეკისრა — მან პოლიტპატიმარი უკრაინელი მფრინავი ქალი ნადეჟდა სავჩენკო 24 საათში უნდა გაათავისუფლოს.

გადაწყვეტილებას არაადეკვატურად აფასებს რუსეთის დელეგაცია. რუსეთის სათათბიროს საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ალექსეი პუშკოვმა განაცხადა, რომ რუსული მხარე ასამბლეას 2015 წლის ბოლომდე ტოვებს:

**„ასამბლეამ რუსეთის დელეგაციისთვის ხმის უფლების ჩამორთმევას მხარი დაუჭირა. ჩვენ ისინი საქმის კურსში ჩავაყენეთ, რომ ასამბლეას მინიმუმ 2015 წლის ბოლომდე ვტოვებთ. მინდა მათ ამ არაადეკვატური გადაწყვეტილების მიღება მივულოცო, რომელიც ევროპაში საპარლამენტო დიალოგს დიდ დარტყმას აყენებს. ჩვენ მუშაობას იმ ორგანიზაციებში გავააქტიურებთ, სადაც არავითარი სანქციები არ არსებობს, მაგალითად ეუთო-ში“.**

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის ანნ ბრასერის თქმით, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას რუსეთის დელეგაციის მანდატი არ შეუჩერებია, არამედ ხმის უფლება შეუჩერეს: **„მათ შეუძლიათ, შეხვედრებს დაესწრონ და დიალოგში მიიღონ მონაწილეობა. ამასთან, გავახანგრძლივეთ აპრილში მიღებული გადაწყვეტილება. მნიშვნელოვანი საკითხია სავჩენკოს გათავისუფლებაც. ის საპარლამენტო ასამბლეის წევრია და იმუნიტეტი იცავს. ვაპირებ მისი გათავისუფლების თხოვნით რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს წერილი მივწერო“.**

უკრაინის დელეგაციის შეფასებით კი, საპარლამენტო ასამბლეის გადაწყვეტილება რუსეთისათვის ყვითელი ბარათია და წითელსაც მიიღებს, თუ თავის პოლიტიკას გააგრძელებს.

ევროსაბჭოში გადაწყვეტილების მიღებას წინ ორსაათიანი მწვავე დებატები უძღვოდა. გამომსვლელთა უმრავლესობა სანქციების ძალაში დატოვებას ითხოვდა. ამის მიზეზად გამომსვლელები რუსეთის მხრიდან შეთანხმებების შეუსრულებლობას ასახელებდნენ.

*„პირველი“*

## „ყველა წინაპირობა არსებობს, ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტი ექსპლუატაციაში წლის ბოლომდე შევიდეს“

ეკონომიკის მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, აღნიშნული პროექტის ფარგლებში საქართველოს ტერიტორიაზე ლიანდაგების დაგება დასრულებულია.

მინისტრმა მთავრობის წევრებს პროექტის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. მისივე თქმით, დარჩენილია ახალქალაქის სადგურის და გადამყვანი მოწყობილობების მონტაჟი: **„თურქული მხრიდან ასევე ძალიან ინტენსიურად მიმდინარეობს გვირაბის სამშენებლო სამუშაოები. ფაქტობრივად ყველა წინაპირობა არსებობს, რომ წლის ბოლომდე ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტი ექსპლუატაციაში შევიდეს. ეს ნამდვილად სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტია, მუშაობა კარგი ტემპებით მიმდინარეობს. გუშინ აზერბაიჯანელ კოლეგასთან ერთად სატესტო მატარებელი გავატარეთ საქართველო-თურქეთის საზღვრამდე. მინდა ვთქვა, რომ კონტრაქტორმა კომპანიამ ძალიან წარმატებით იმუშავა. მომავალში ყველა წინაპირობა გვაქვს იმისათვის, რომ ვთქვათ, რომ პროექტი ვადებში დასრულდება“.**

*„პირველი“*

ვერსიანიუსი

## ოჯახში ძალადობის თემაზე პროკურორების ინტენსიური გადამზადება დაიწყო

საქართველოს პროკურატურა სასწავლო აქტივობებს გაერო-ს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ მხარდაჭერით ახორციელებს.

პირველ ეტაპზე ინტენსიურ პროფესიულ მომზადებას პროკურატურის სისტემიდან პოტენციური ტრენერები გაივლიან. სასწავლო პროცესს მოწვეული ბრიტანელი ექსპერტი ფრანჩესკა დელ მეზე უძღვება. ტრენინგის ფარგლებში განხილული იქნება სისხლის სამართლებრივი დევნის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: დაზარალებულის დაკითხვა და მასთან კომუნიკაცია; მტკიცებულებათა მოპოვება და შეფასება. აქცენტი გაკეთდება საერთაშორისო სტანდარტებსა და პრაქტიკაზე. განიხილება სამართლებრივი ჩარჩო ქალთა უფლებების, ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ.

ტრენინგებს წინ უძღვოდა პროკურორების გამოკითხვა, რომელიც გაერო-ს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით განხორციელდა და გამოვლინდა ამ მიმართულებით არსებული სუსტი და ძლიერი მხარეები, ძირითადი სამუშაო მიმართულებები.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პროკურორების სათანადო პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სასწავლო აქტივობები მთელი წლის განმავლობაშია დაგეგმილი და შედეგად მთელი ქვეყნის მასშტაბით აღნიშნული სპეციალიზაციით მომუშავე ყველა პროკურორი გადამზადდება. დაგეგმილ ტრენინგებზე თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებასთან ერთად, არსებული პრაქტიკა და აქტუალური საკითხები განიხილება.

*„პირველი“*

# ვის აწყობს ვადამდელი არჩევნები და მისი დანიშვნის შემთხვევაში როგორ კონფიგურაციას მივიღებთ პარლამენტში

ნინო კომახიძე, 599-95-33-16



**„ვადამდელ არჩევნებს, მე, პირადად, არ ვისურვებდი. ძალიან მინდა, კანონის ფარგლებში ცხოვრებას მივეჩვიოთ, კონსტიტუციას მოვუსმინოთ და ა.შ. არ ვისურვებდი და ვადამდელი არჩევნების ჩატარების აუცილებლობასაც ვერ ვხედავ, მაგრამ არაფერი უნდა გამოვრიცხოთ. თუ პროცესები ისე განვითარდა, რომ ამის აუცილებლობა დადგება, ამაში არაფერი კატასტროფა არ არის. თუმცა ეს კარგი არ იქნება და ჯობია, ყველაფერი კონსტიტუციურად განვითარდეს“, — ბიძინა ივანიშვილმა ეს განცხადება ორ დღის წინ, ტელეეთერში იმ ჭორების პასუხად გააკეთა, რაც ვადამდელი არჩევნების თემაზე, სულ ცოტა, ერთი წელია ისმის.**

კოალიციიდან ერთი სუბიექტის გასვლა, ბიუჯეტის ჩაგდება-არჩაგდება, მუდმივი როტაცია თუ სკანდალები მინისტრთა კაბინეტში და ხმები, რომ პრემიერს ვიღაცები ებრძვიან — ამ ყველაფრის გამოყენება ვადამდელი არჩევნების დასანიშნად ნებისმიერ დროს შეიძლება. თუმცა ერთიცაა — ვის აწყობს დღეს ვადამდელი არჩევნები. საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ჯერ კიდევ შევარდნაძის დროიდან მოყოლებული, საარჩევნო კოდექსი, პატარა ცვლილებების მიუხედავად, მთლიანად მმართველ გუნდზეა მორგებული. თუ ამას საჯარო სამსახურში დასაქმებულთა სოლიდურ რიცხვსა და ადმინისტრაციულ რესურსებსაც დავუმატებთ, ხელისუფლება არჩევნებზე 20-30%-იან გარანტირებულ ფორას იღებს. შესაბამისად, ხელისუფლებას თამაშის ეს წესი და ვადამდელი არჩევნები ნებისმიერ დროს, სხვებთან შედარებით, ყველაზე მეტად აწყობს. რიგგარეშე არჩევნები, ასევე, იმ ძალებს და ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირებსაც შეიძლება აწყობდეთ, ვისაც მმართველი გუნდისგან რაღაც გარანტიები აქვს. თუმცა ხელისუფლებისგან აღებული გარანტია მეტისმეტად პირობითი რამაა. არჩევნები კი ყველაზე მეტად ხელისუფლების „მტრებს“, უფულოებს და ურეიტინგოებს არ აწყობთ — ქართულ ოპოზიციურ სპექტრში ასეთებიც მოიძებნებიან. გარდა ამისა, უკვე ხმები არათუ ვადამდელი არჩევნების ჩატარებაზე, არამედ ჩატარების თარიღზეც კი ვრცელდება და ორი ასეთი ვერსია გვესმის: არჩევნები დაინიშნება შემოდგომაზე, გადანაწილება კი ასეთი იქნება — რესპუბლიკელები, ალასანია და ალბათ, ნაციონალებიც, საარჩევნო ბლოკის სახით, ხოლო „.ოცნება“ ახალ შემადგენლობას, სავარაუდოდ, ფორუმის გარეშე გამოიყვანს. მეორე ვერსიით კი რიგგარეშე არჩევნები მაისის ბოლოს გველის, ზუსტად იმ გადანაწილებით, რაც ახლა გვაქვს, ოღონდ „ოცნების“ ოპოზიციად ინაშვილი-ბურჯანაძე არ უნდა მოვიაზროთო. თავად ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები, რომელთაც „ვერსია“ დაუკავშირდა, ფიქრობენ, რომ ხელისუფლებასთან დაახლოებული სწორედ ის არის, ვინც ვადამდელ არჩევნებს თავგადაკლული ითხოვს. ლუსტრირებისთვის, ალბათ, ეს საუკეთესო მეთოდი არ არის, მაგრამ სიმართლის მარცვალი ნამდვილად დევს. უმთავრესი ამ ამბავში კი ისაა, რომ არც სიები დაზუსტებულა, არც ცესკო-ს დაკომპლექტების წესი შეცვლილა, არც საარჩევნო კოდექსის რეფორმირებაზე ფიქრი დაუწყია ვინმეს, არც ხელისუფლება და ოპოზიცია შეხვედრია ერთმანეთს პარტიების თანაბრობის პრინციპზე შესათანხმებლად და ზოგადად, არაფერი შეცვლილა საიმისოდ, რომ თუნდაც ხვალვე დანიშნულ რიგგარეშე არჩევნებს განსხვავებული შედეგი მოჰყვეს. „ვერსია“ ყველა პარტიის წარმომადგენლის პოზიციას გთავაზობთ კითხვებზე: გინდათ თუ არა ვადამდელი არჩევნები, მზად ხართ თუ არა ამისთვის ფინანსურად და სტრუქტურულად და ვის აწყობს დღეს რიგგარეშე არჩევნები ქვეყანაში.

**გოჩა ჯოჯუა, ქრისტიან-დემოკრატები:** „ვადამდელ არჩევნებს ჩვენ არც ვითხოვთ, ეს ყველაფერი დიდი სისულელეა. ახლა მთავარია, საარჩევნო სისტემა მაინც შევცვალოთ, რადგან ისევ „ოცნებასა“ და ნაციონალებს აქვთ არჩევნების ჩატარების მატერიალური შესაძლებლობა. არ მინდა, პოლიტიკაში იგივე ადამიანები დარჩნენ. უბრალოდ, ამას ვადამდელი არჩევნებით ნამდვილად ვერ მივაღწევთ. სინამდვილეში, ვადამდელი არჩევნებიც რევოლუციური სცენარია, რომლის დროსაც ხელისუფლებაში ისევ ავანტიურისტები მოდიან. აჯობებს, 2016 წლამდე მივიდეთ და ამ ხნის განმავლობაში ყველამ თავისი რეალური სახე გამოავლინოს. მოდი, იმასაც შევხედოთ, ვინ ითხოვს ვადამდელ არჩევნებს: ისევ და ისევ ნინო ბურჯანაძე, ირმა ინაშვილი და ჯონდი ბაღათურია. ხოლო ეს სამივე, სინამდვილეში, ერთი ძალაა და ყველას რაღაც კავშირები და გარანტიები აქვს ხელისუფლებისგან“.

**ფიქრია ჩიხრაძე, ახალი მემარჯვენეები:** „ჯერ ერთი, ისედაც სულ საარჩევნო რეჟიმში ვართ, საარჩევნო კოდექსი და გარემო კი, ხელისუფლებების ცვლათა მიუხედავად, გადაუჭრელ პრობლემად რჩება. საარჩევნო ცვლილებები საკონსტიტუციო უმრავლესობას საჭიროებს. აქ ნაციონალების ხმები სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს და ამ საკითხის გარშემო არც მათთან თანამშრომლობაზე ვიტყვით უარს. დღეს სხვებთან ჩხუბი და კამათი ჰაერში მუშტების ქნევას ჰგავს; თანაც, თუ საარჩევნო გარემო არ მოწესრიგდა, ვადამდელი არჩევნები გინდ ჩაგვიტარებია, გინდ არა — იგივე გადანაწილებას მივიღებთ“.

**ზურაბ ხარატიშვილი, სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისთვის:**

„არჩევნების ჩატარებისას, ნებისმიერი ხელისუფლება თავს უპირატეს მდგომარეობაში აყენებს, რადგან თავად სისტემაა ასეთი. ეს ცალსახაა. მივიღებთ თუ არა მონაწილეობას, ეს მსჯელობის საგანია, თუმცა არჩევნებში მონაწილეობას, ზოგადად, ალტერნატივა არ აქვს, თუ საქმე ისეთ პროცესთან არ გვაქვს, რაც პოლიტიკური ბრძოლის ჩარჩოებს სცილდება. ვიდრე პარტიები თანაბარ მდგომარეობაში არ ჩადგებიან, მანამ ვადამდელ არჩევნებს არც ვითხოვთ და აზრს ვერც მის ჩატარებაში ვხედავთ, რადგან ხელისუფლებას კვლავ რჩება დაუმსახურებელი უპირატესობა: საარჩევნო სისტემის მაჟორიტარული კომპონენტი, ცესკოს დაკომპლექტების წესი, ადმინისტრაციული რესურსებისა და შეუზღუდავი ზედა ჭერის გამოყენების წესი და ა.შ.“

**კახა კუკავა, თავისუფალი საქართველო:** „დროებით პაუზა გვაქვს აღებული და კომენტარს არ ვაკეთებთ.“

**გიორგი გუგავა, ლეიბორისტული პარტია:** „ქვეყანაში ეკონომიკური კოლაფსია და მთავრობა ამ გამოწვევების მიმართ, რბილად რომ ვთქვათ, არაადეკვატურია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „ოცნების“ რეიტინგიცა და დაპირებებიც იმსხვრევა და სიტუაცია ყველა მიმართულებით უარესდება, შესაძლოა, ცოტა ხანში სოციალური ბუნტიც მივიღოთ, ამიტომ გამოსავალი ვადამდელ არჩევნებშია. ოღონდ ჯერ დრაკონული საარჩევნო სისტემა უნდა შეიცვალოს, თორემ, გნებავთ, რიგითი არჩევნები ჩატარდეს, გნებავთ მორიგი, შედეგი მაინც გაყალბდება! ასე შეიძლება საერთო-სახალხო მღელვარებამდეც მივიდეთ. ვადამდელი არჩევნები იმისთვის უნდა ჩატარდეს, რომ ეს ბანდა, კასტა და მილიარდერთა კლუბი შეიცვალოს. თუმცა ჯერ დათვი არ მოუკლავთ, მის ტყავს ინაწილებდნენო, ასე რომ არ გამოგვივიდეს, დრაკონული საარჩევნო სისტემის შეცვლა უნდა დაიწყოთ. თორემ ყველაფერი ისე მძიმედ დასრულდება, აღარც საარჩევნო კოდექსი უშველით, აღარც მილიარდები“.

**გიორგი ცაგარეიშვილი, თავისუფალი დემოკრატები:** „ეჭვი მეპარება, ქვეყანაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს, კალენდარს თუ ჩავხედავთ, საარჩევნო სამზადისი ისედაც მოახლოებულია. საერთოდ, საარჩევნო ციკლს უნდა მივყვეთ, ეს ყველაზე სწორი მიდგომაა. თუ არჩევნები მაინც ჩატარდება, პარტია მასში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს. ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება, გქონდეს პარტია და არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო. აბა, როგორ უნდა მოხვიდე ხელისუფლებაში, მაიმუნობით, მაგიდებზე სირბილითა და ხალხის ხოცვა-ჟლეტით? საუკეთესო მაგალითი 2012 წელი იყო, როცა არსებობდა წინაპირობა, საერთო-სახალხო აღშფოთების შედეგად ნაციონალები წაგველეკა, მაგრამ ასე არ მოხდა და ასეც უნდა გაგრძელდეს. ასევე, მინდა ერთი რჩევა მივცე პარტიებს, რომელთა შესახებ არსებობს აზრი, რომ ხელისუფლებასთან არიან დაახლოებულნი: გარანტიების მიღება ნებისმიერი მთავრობისგან უმადური საქმეა, რადგან „გადაგდებული“ და „გადაყირავებული“ ბევრი მინახავს. ასე რომ, დაანებეთ თავი ხელისუფლებასთან საუბარს და თქვენს საქმეს მიხედეთ. ჩვენც ჩვენს საქმეს მივხედავთ, გავაძლიერებთ პარტიულ სტრუქტურებს და მოვემზადებით არჩევნებისთვის, რომელიც ისედაც კარსაა მომდგარი“.

**მამუკა გამყრელიძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ივერია“: (საუბარია, რომ შემოდგომაზე, ორგანიზაციის ბაზაზე პარტიის დაფუძნება იგეგმება)** „ჩვენ პოლიტიკური ძალა არ ვართ და არჩევნებში მონაწილეობას, მით უმეტეს, მცირე ვადებში, ვერ მივიღებთ. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ვადამდელი არჩევნების ჩატარება ვერც ეკონომიკურ კოლაფსს უშველის და ვერც დაღმასვლას შეაჩერებს. ამით „ოცნებამ“, შესაძლოა, აგონია გაიხანგრძლივოს, თუმცა ეს მცდელობაც კრახით დასრულდება. კიდევ უფრო საშიშად ის მიმაჩნია, ასეთი უცაბედი არჩევნების შედეგად, 15-20%-ით პარლამენტში ინაშვილი-ბურჯანაძის ძალები არ შევიდნენ, რაც ქვეყნისთვის კატასტროფა იქნება. არსებობს ეჭვი, რომ ბიძინა ივანიშვილი მათ თავად აფინანსებს, რაც ნიშნავს, რომ ყველანი რუსეთში მივდივართ. გარდა ამისა, რიგგარეშე არჩევნების მიზანი ისიცაა, ოპოზიციამ მომზადება ვერ მოასწროს, ხელისუფლებას კი ადმინისტრაციული რესურსების უკეთ გამოყენების შანსი ახლა უფრო აქვს, ვიდრე 2016-ში შეიძლება ჰქონდეს. თანაც, ვადამდელი არჩევნების ჩასატარებლად მიზეზიც უნდა არსებობდეს, რაც, ალბათ, თითიდან გამოწოვილი იქნება. ეს ნიშნავს, რომ რიგგარეშე არჩევნები არა პარლამენტში, კანცელარიასა და პრეზიდენტის სასახლეში, არამედ სადღაც სხვაგან, მთაწმინდაზე გადაწყდა. თუ ქვეყანა მთაწმინდიდან იმართება, ესეც ღიად უნდა გაცხადდეს“.

**დავით დარჩიაშვილი, ნაციონალური მოძრაობა:** „ბიძინა ივანიშვილს დღეში 9 პარასკევი აქვს, ამიტომ დიდად არც მისი განცხადებების მჯერა. იგი ხან პრემიერია, ხან არა, ხან სამოქალაქო პირია, ხან პოლიტიკოსი. თავად კოალიციაა საკმაოდ დაბნეული, მოუმზადებელი, მაგრამ ნელ-ნელა ეკონომიკური კრიზისი პოლიტიკურში გადადის და საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმირების შემდეგ ვადამდელი არჩევნების საკითხიც დგება დღის წესრიგში. მგონი, გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ „ოცნება“ გრძნობს, როგორ იკლებს მისი რეიტინგი, რეალურია. 2016 წლამდე კი იგი, შესაძლოა, ნულამდე ჩამოვიდეს, ამიტომ ალბათ, კიდევ 4 წელი უნდა გაინაღდოს. საარჩევნო რეფორმის დახვეწასთან ერთად, რაც უნდათ, ის გააკეთონ. რაც შეეხება საუბრებს იმის შესახებ, რომ პარლამენტში ნაციონალები „შეინიწროვდებიან“ და დაბალი პროცენტი ექნებათ, ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფია. არც ერთ ქვეყანაში არჩევნებს რეიტინგის მიხედვით არ ზომავენ. რაც შეეხება იმ ვითომ ოპოზიციას, ვინც მსგავს განცხადებებს აკეთებს, ისინი პირადად ბიძინა ივანიშვილთან არიან გადანასკვულნი და ურჩევნიათ, საკუთარ პარტიებს მიხედონ.“

*დასასრული მე-5 გვერდზე*

ვერსიანიუსი

## ირაკლი ღარიბაშვილმა და ალექსანდრე ვერშბოუმ ნატო-საქართველოს თანამშრომლობის საკითხები განიხილეს

მხარეებმა ნატო-საქართველოს არსებით ღონისძიებათა პაკეტით გათვალისწინებული ელემენტების იმპლემენტაციის გეგმაზე იმსჯელეს და პაკეტის დროული და ეფექტიანი განხორციელების პერსპექტივები დასახეს.

ირაკლი ღარიბაშვილმა მადლობა გადაუხადა ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილეს საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში შეტანილი წვლილისთვის, ასევე საქართველოში ვიზიტისთვის, რაც უელსის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებისკენ წინგადადგმულ ნაბიჯად შეაფასა.

ალექსანდერ ვერშბოუსთან ერთობლივ ბრიფინგზე კი აღნიშნა: **„ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, ნატო-ში ინტეგრაციისთვის. ვაფასებთ ალიანსის მხარდაჭერას ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი და ნატო-ს ქმედით ჩართულობას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკაში. მიგვაჩნია, რომ ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილის საქართველოში ვიზიტი არის კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი უელსის სამიტზე მიღებული უაღრესად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შესრულებისკენ“.**

ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილის, ალექსანდრე ვერშბოუს შეფასებით კი, საქართველო ნატოს განსაკუთრებული პარტნიორია და მის მისწრაფებას ალიანსი მნიშვნელოვნად აფასებს: **„თქვენი მისწრაფება ალიანსში წევრობისა, დემონსტრირება, რომ საქართველო შეიძლება გახდეს უსაფრთხოების ექსპორტიორი ქვეყანა ნათლად ჩანს მისეიბეში თქვენი ჯარების მონაწილეობით. საქართველო ახორციელებს უმნიშვნელოვანეს დემოკრატიულ რეფორმებს. მინდა მოვუწოდო ქვეყნის პოლიტიკურ ლიდერებს გააგრძელონ ამ გზით სვლა. ასევე, მოვუწოდებ, ყველა პარტიას, საქართველოს ყველა მოქალაქეს, ითანამშრომლონ ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის. ჩვენ საქართველოს დავეხმარებით მიზნის მიღწევაში“.**

ნატო-ს გენერალური მდივანის მოადგილე ალექსანდრე ვერშბოუ საქართველოში ორდღიანი ვიზიტით ჩამოვიდა. ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილის ორდღიანი ვიზიტის მთავარი მიზანია ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის განხორციელების მონიტორინგი. ალექსანდრე ვერშბოუ საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს და მთავრობის წევრებს შეხვდა. ვიზიტის ფარგლებში, დაგეგმილი იყო ასევე ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილის აუდიენცია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან.

*„პირველი“*

# „დუბინკები“ მოკლდება, უდო-ს კომისია უქმდება, „კარცერში“ მოთავსების ვადა მცირდება – ცვლილება 40 კანონში!

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**იურიდიულმა კომიტეტმა 28 იანვარს 5 მნიშვნელოვანი საკითხი განიხილა და 5-საათიანი სხდომაც ხუთივესთვის 5 გამსვლელი ხმის მიცემით დაასრულა. განსახილველ საკითხთა შორის პირველი ფრაქცია „ოცნების“ მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე მერაბ ტურავას წარდგენა იყო. ტურავა ამ პოზიციაზე უკვე მეორედ წარადგინეს, რადგან დაახლოებით ერთი თვის წინ უმრავლესობას მისი კანდიდატურა არასაკმარისი ხმების გამო, შემთხვევით „ჩაუვარდა“.**

## ვინ განიხილავს პატიმრების ვადამდე გათავისუფლების საკითხს უდო-ს გაუქმების შემდეგ

ტურავას ბიოგრაფიის დეტალები კომიტეტს ელისო ჩაფიძემ გააცნო. მერაბ ტურავამ, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ დასძინა, მერე რა, რომ „ოცნებამ“ წარმადგინა, მოსამართლედ არჩევის შემთხვევაში, მიუკერძოებელი ვიქნებიო და მის კანდიდატურას კომიტეტის 7 წევრიდან მხარი 5-მა დაუჭირა. მეორე, მესამე და მეოთხე საკითხები ცესკო-ს წევრების ჩანაცვლება იყო, რომელთაც უფლებამოსილების ვადა ამოეწურათ. ასეთი სამი ადამიანია. მათ ნაცვლად, პრეზიდენტმა, თითო ვაკანსიაზე 2-2 კანდიდატი დაასახელა: კონსტანტინე კირვალიძის ნაცვლად — გიორგი ჭიქაბერიძე და ნათია ჯიქია; თამაზ შარმანაშვილის ნაცვლად — დავით ღონღაძე და ზურაბ ხრიკაძე, გიზო მჭედლიძის ნაცვლად კი — გიორგი ჯავახიშვილი და ლევან ტურაშვილი. მანამდე, პრეზიდენტს უმრავლესობამ ორი კანდიდატურა უკვე ჩაუგდო, მათი კარგად გაცნობა-შეფასება ვერ მოვასწარითო. სინამდვილეში კი, „ოცნებას“ ის ეწყინა, კანდიდატები ჩვენ რატომ არ შეგვითანხმაო. კომიტეტმა ექვსივე კანდიდატის ბიოგრაფია მოისმინა, კანდიდატებიც სიამოვნებით გამოდიოდნენ ტრიბუნასთან და ყვებოდნენ, თუ რა ზეწოლისა და დარღვევების პირობებში უწევდათ მუშაობა გასულ წლებში და რა კარგი იყო წინა არჩევნებთან შედარებით 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. სამართლიანობისთვის, უნდა აღინიშნოს, რომ „ოცნებასთან“ შეთანხმებით, თუ შეუთანხმებლად, პრეზიდენტმა საარჩევნო ტექნოლოგიებში მართლაც გამოცდილი კანდიდატები დაასახელა და რამდენიმე მათგანს, მედია, საარჩევნო ექსპერტის რანგში მანამდეც იცნობდა. მაგალითად, დავით ღონღაძეს, რომელსაც ერთი „ეშმაკური“ იდეა ჰქონდა: საარჩევნო დავების განხილვა ცესკო-ს გამოვარიდოთ და ე.წ. საარჩევნო ტრიბუნალი შევქმნათ, რომელიც დროებითი ორგანო იქნება და მხოლოდ საარჩევნო დავებს განიხილავსო. ხმალაძემ, როგორც ყოველთვის, ღონღაძესაც და სხვა კანდიდატებსაც ოპონირება გაუწია და საკითხი კენჭისყრაზე დააყენა. აღსანიშნავია, რომ ზურაბ ხრიკაძისა და ლევან ტურაშვილის კანდიდატურა გიორგი მარგველაშვილმა უმრავლესობის წინაშე უკვე მეორედ დააყენა, მათგან ხრიკაძემ საკმარისი ხმები მიიღო, ტურაშვილმა კი 4. დანარჩენმა კანდიდატებმა ფარული ხმის მიცემა წარმატებით გაიარეს. ხმათა გამსვლელი რაოდენობა, ამ შემთხვევაშიც, 5 იყო. ნახევარსაათიანი შესვენებისა და პიონერული ფიცის დადების შემდეგ, დეპუტატები კომიტეტის სხდომაზე რომ დაბრუნდნენ, მეხუთე და ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა დაიწყო. ცვლილებას თამამად შეიძლება ვუწოდოთ რეფორმა სასჯელაღსრულების სისტემაში. რეფორმის შედეგად, ცვლილებები 40 კანონში შედის და ამ დიდი საკანონმდებლო პაკეტის ინიციატორი მთავრობაა. მომხსენებელი ციხეების მინისტრის პირველი მოადგილე, კახა კახიშვილი გახლდათ. საკანონმდებლო პაკეტი კი იურიდიულმა კომიტეტმა პირველი მოსმენით განიხილა. კომიტეტს ამ პაკეტზე მხოლოდ სავალდებულო დასკვნის დადება ევალება, რადგან წამყვანი კომიტეტი ადამიანის უფლებათა დაცვისაა. **კახა კახიშვილმა** მცირე შესავალი გააკეთა და რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულება გამოკვეთა: **„სასჯელაღსრულების ძირითადი ორგანო, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის (სად) ნაცვლად, ხდება პენიტენციური დაწესებულება, ხოლო სასჯელაღსრულების დეპარტამენტი გარდაიქმნება სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფად — პენიტენციურ დეპარტამენტად... სამინისტრო ორ ძირითად მიმართულებაზე იმუშავებს: სამოქალაქო სამსახური და სპეციალური პენიტენციური სამსახური. სამოქალაქო სამსახურში გაერთიანდებიან „დამხმარე“ ფუნქციების მქონე სტრუქტურული ქვედანაყოფები, რომლებიც საჯარო მოსამსახურეებით, ანუ სამოქალაქო პირებით დაკომპლექტდებიან. მათ არ ექნებათ სპეციალური წოდებები, არ მოეთხოვებათ სპეცმომზადების კურსების გავლა. ხოლო პენიტენციურ სამსახურში გაერთიანდებიან პენიტენციური დაწესებულებები და სამინისტროს ის სტრუქტურული ქვედანაყოფები, რომელთა საქმიანობაც სასჯელის უშუალო აღსრულება და მასთან დაკავშირებული ფუნქციებია. ამ სამსახურის თანამშრომლები კი სპეციალური წოდების მქონე (პოლიციელთან გათანაბრებული) სპეცმომზადებაგავლილი პირები იქნებიან“.** გაირკვა ისიც, რომ პენიტენციურ დეპარტამენტს მინისტრის მიერ დანიშნული გენდირექტორი უხელმძღვანელებს, რომელსაც სამართლებრივი აქტების გამოცემისა და ზოგიერთი მოსამსახურის თანამდებობებზე დანიშვნის უფლება მიენიჭება. მხოლოდ ცვლილებათა ძალიან მოკლე ჩამონათვალს კახიშვილმა ნახევარ საათზე მეტი მოანდომა. ამ ჩამონათვალიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი კი ასეთია: 1. სად-ის გაუქმება; 2. სისტემის ორად, სამხედრო და სამოქალაქო პირებად გაყოფა, რაც ნიშნავს, რომ ვთქვათ, სამინისტროს ბუღალტერს სამხედრო ჩინის ქონა აღარ მოეთხოვება; 3. სამხედრო ჩინის ქონა აღარც სოციალურ სამსახურში დასაქმებულ სოცმუშაკებს მოეთხოვებათ, რადგან პატიმრები სამოქალაქო პირებს უფრო ენდობიან, ვიდრე სამხედროებს; 4. დაიწყება ციხეების ეტაპობრივი დეცენტრალიზაცია: ყველა ციხეს ექნება საკუთარი შიდადებულება, ხოლო ყველა მოსამსახურისთვის გაიწერება ინდივიდუალური უფლება-მოვალეობები. მოსამსახურეები ამ უფლებებს გაეცნობიან და ხელს მოაწერენ, რათა მათ მიერ, რაიმე დარღვევის ჩადენის შემთხვევაში, დანაშაულს სამართლებრივი კვალიფიკაცია უფრო ზუსტად და იოლად მიეცეს; 5. იქმნება მუდმივმოქმედი საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც არასამთავრობო და სამოქალაქო სექტორით დაკომპლექტდება და შეიმუშავებს და დახვეწს პენიტენციური სისტემის პოლიტიკას; 6. გადაიხედება გენერალური ინსპექციის უფლება-მოვალეობები. ეს სამსახური დღეს მხოლოდ პოსტფაქტუმ მოქმედებს, რეფორმის შედეგად კი მას მონიტორინგის ფუნქციაც დაეკისრება, რითაც პრევენციული მოქმედების ანუ დანაშაულის ჩადენამდე აღმოფხვრის საშუალება მიეცემა; 7. სწავლების ცენტრს დაემატება ორკვირიანი ე.წ. ტრენინგის ფუნქცია. თუკი აქამდე ციხეში მუშაობის დასაწყებად პირი ტესტირებას აბარებდა, კონკურსში იმარჯვებდა და საქმიანობას ისე იწყებდა, რომ პატიმართან მუშაობის გამოცდილება არ ჰქონდა, ამიერიდან გაივლის საველდებულო, უფასო ორკვირიან სწავლებას და შესაბამის სერტიფიკატს მიიღებს. ხოლო მის მიერ მიღებული ქულების რაოდენობა ხელფასის რაოდენობასაც განსაზღვრავს — ვინც მეტ ქულას მიიღებს, იგივე პოზიციაზე დასაქმებულ პირზე მეტი ხელფასი შეიძლება ჰქონდეს; 8. 20 დღით მცირდება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადა, რასაც სად-ის სტატუსის გაუქმება იწვევს, რადგან ამიერიდან, საჩივარს პირდაპირ სამინისტრო განიხილავს და არა მის შიგნით არსებული რამდენიმე ინსპექცია; 9. უქმდება ვადამდე გათავისუფლების მუდმივმოქმედი კომისია ანუ უდო. დღეს ამ საკითხს ადგილობრივი საბჭოები იხილავენ. ასეთი ოთხია: აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, არასრულწლოვნებისა და ქალთა. საქმეებს, ასევე, იხილავს სასამართლო და ადგილობრივმა საბჭომ და სასამართლომ უარყოფითი განაჩენი რომ გამოიტანონ, უდო-ს კომისიას დადებითი დასკვნის დადების უფლება მაინც აქვს. კახიშვილის თქმით, ეს იურიდიული ნონსენსია, ხოლო უდო-ს მიერ განხილულ საქმეებზე დაკვირვების შედეგად, ჩნდება ეჭვი, რომ არსებობენ ე.წ. ელიტური მსჯავრდებულები. კახიშვილმა კონკრეტული სტატისტიკაც მოიშველია: უდო-ს კომისიაში ათასობით განაცხადია შესული, მათგან დაკმაყოფილებული კი ზუსტად იმდენია, რამდენიც განხილულია. ათასებიდან მხოლოდ ე.წ. ელიტური, 1400 პატიმარი გაამართლეს და ამდენივე საქმე განიხილეს, დანარჩენებს კი მათი საქმეების განხილვის პატივიც არ დასდეს, რაც ეჭვებს ნამდვილად იწვევსო. აქვე ისიც გაირკვა, რომ სამინისტრო ევროკავშირთან ერთად იკვლევს, პატიმრების ვადამდე გათავისუფლების რა მოდელია უფრო ეფექტური და სწორედ ამ მოდელს გადმოვიტანთ საქართველოში; 10. რეფორმის ფარგლებში 20-დან 14 დღემდე მცირდება სამარტოო საკანში პატიმრის მოთავსების ვადა. ამ საკანს კი ციხეებში ორი, დასჯისა და უსაფრთხოების მიზნით იყენებენ; 11. სამიდან ერთ თვემდე მცირდება მსჯავრდებულის მხრიდან გასაჩივრების ვადაც; 12. რეზინის ხელკეტის გამოყენება იკრძალება, რადგან, როგორც აღმოჩნდა, რეზინის ხელკეტის დარტყმის ძალა 60 კგ-ზე მეტია და დახურულ სივრცეში მისმა გამოყენებამ, შესაძლოა, ლეტალური შედეგი გამოიწვიოს. ამ ხელკეტს პოლიციის ხელკეტი შეცვლის, რომელიც უფრო მოკლეა და დარტყმის ძალაც ნაკლები აქვს. საგანგებოდ აღინიშნა ისიც, რომ ეს იარაღი არალეტალურია.

როგორც კახიშვილმა აღნიშნა, მომზადების პროცესშია ისეთი საკითხები, როგორიცაა ციხეებში დამონტაჟებული ვიდეომასალის კონტროლი, შენახვის ვადის დაზუსტება და ა.შ. ასევე, შეიცვლება მსჯავრდებულების გადანაწილების წესი სხვადასხვა დაწესებულებებში. დღეს ამას სად-ის უფროსი არეგულირებს, მაგრამ კახიშვილის თქმით, შეიქმნება მულტიდისციპლინური, ფსიქოლოგით, სოციალური მუშაკით, რეჟიმისა და უსაფრთხოების ოფიცრებით დაკომპლექტებული ჯგუფი, რომელიც გადაწყვეტს, რომელი პატიმარი სად მოათავსოს. სიახლის მიზანი კი ისაა, რომ ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტები და კანონიერი ქურდები დანარჩენ პატიმრებს გაარიდონ, რომელთაც ვადის ნორმალურად მოხდა სურთ და „მაყურებლის“ ფუნქციის შეთავსებაც არ სურთ. ქურდული სუბკულტურის მიმდევრებს მაღალი რისკების ციხეებში მოვათავსებთ, დანარჩენებს და ნაკლებმძიმე დანაშაულის ჩამდენებს კი დაბალი რისკების დაწესებულებაში, სადაც მათთვის მუშაობა და სწავლება სავალდებულო იქნებაო. მანვე უპასუხა კითხვებსა და შენიშვნებს უდო-ს კომისიის გაუქმების შესახებ და განმარტა, რომ ახალი სამსახურის დამკვიდრებამდე, ან სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე (რაც შესაძლოა, მეორე მოსმენამდე მოესწროს), პატიმრების საქმეებს ის ორგანო განიხილავს, რომელსაც ეს საქმიანობა 6 თვეში ერთხელ, სავალდებულო წესით, ისედაც ეხება — ადგილობრივი საბჭოები.

ვერსიანიუსი

## შინაგან საქმეთა მინისტრი ოფიციალური ვიზიტით რიგაში გაემგზავრა

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური ოფიციალური ვიზიტით რიგაში იმყოფება. მინისტრი ევროკავშირის წევრი და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების იუსტიციის და შინაგან საქმეთა მინისტრების ერთობლივ შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას.

შეხვედრაზე განიხილავენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა მიგრაციული ნაკადების მართვა, რეფორმები სამართალდაცვით სფეროში, ტერორიზმის სამართლებრივი ასპექტები და პერსონალურ მონაცემთა დაცვა. შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაცია სამართალდაცვით სფეროში ევროინტეგრაციის კუთხით სამინისტროში განხორციელებული რეფორმების შესახებ მოკლე მოხსენებით წარსდგება.

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური მინისტერიალის ფარგლებში ასევე გამართავს ორმხრივ შეხვედრებს ევროპელ კოლეგებთან. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრების პირველი შეხვედრა 2013 წელს ლუქსემბურგში გაიმართა და მასში მონაწილეობა მიიღო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ამჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

*„ვერსიანიუსი“*

# TV3 და TVS მაუწყებლობას მარტიდან დაიწყებენ

## რომელ ინვესტორებთან აწარმოებს მოლაპარაკებას ღაღი ეგაძე და როგორი იქნება TV3-ის კონცეფცია

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**მარტიდან ორი ტელეკომპანია, TV3 და TVS, განახლებული ეთერით დაიწყებს მაუწყებლობას. TV3-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ლალი ეგაძე აცხადებს, რომ ამ ეტაპზე, ტექნიკური პრობლემების გამო, არხის რეორგანიზაცია მიმდინარეობს. 2015 წლის 21 იანვარს, TV3-ის საერთო მაუწყებლის ლიცენზიის ვადა ამოიწურა, მაგრამ რამდენიმე დღის წინ, კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ ლიცენზიის ვადა 10 წლით გააგრძელა. რაც შეეხება ტელეკომპანია TVS-ს, მისი მაუწყებლობა 2014 წლის ნოემბერში უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ტექნიკური მიზეზების გამო, რამდენიმე თვით გადაიდო. სავარაუდოდ, TVS ეთერში 2 მარტიდან გავა. „ვერსია“ TV3-ის ერთ-ერთ დამფუძნებელსა და ტელეკომპანიის გენერალურ დირექტორს, ლალი ეგაძეს დაუკავშირდა.**

**— ქალბატონო ლალი, რა ცვლილებებს გეგმავთ ტელეკომპანიაში?**

— ამ ეტაპზე, არხის რეორგანიზაცია მიმდინარეობს, როგორც შემოქმედებითი, ასევე ტექნიკური მიმართულებით. ჩვენს ტელევიზიას გადაიარაღება სჭირდება, რადგან, ვინც ამ TV3-ში მუშაობდა, ყველამ იცის, რომ ტექნიკური პრობლემები გვქონდა. აპარატურა მოძველდა და ვფიქრობთ, განახლება აუცილებელია, მით უმეტეს, ახლა, როდესაც 2015 წლიდან, ყველა ტელევიზია HD მაუწყებლობაზე გადადის. გვინდა, ამ თვალსაზრისით, ჩვენც მზად ვიყოთ. როგორც იცით, TV3-მა ბიზნეს-ეკონომიკის კონცეფციით დაიწყო მოღვაწეობა, მაგრამ მოგვიანებით, ეს მიმართულება შეიცვალა. გადავწყვიტეთ, ისევ ბიზნეს-არხის კონცეფციას დავუბრუნდეთ და ამასთან დაკავშირებით, რამდენიმე სერიოზულ ინვესტორთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას, მათ შორის აზერბაიჯანელებთან. სავარაუდოდ, ალბათ ასეც გადაწყდება და ბიზნეს-ეკონომიკის მიმართულებით, TV3-ზე ბევრი, საინტერესო გადაცემა გაკეთდება. მაქსიმალურად ვცდილობ, არანაირ პოლიტიკურ ძალას არ დაველაპარაკო.

**— თავიდანვე ამ ტელეკომპანიის დამფუძნებელი იყავით, უფრო ზუსტად, 100%-იანი წილიდან, 90% გაყიდეთ და ასე შემოიყვანეთ დამფუძნებლებად სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი კახა ბაინდურაშვილი, ვიცე-პრეზიდენტი ლაშა ჩხენკელი და ბიზნესმენი დავით მჟავია. ამ ორი წლის განმავლობაში, დამფუძნებლები შეიცვალნენ, ტექნიკური პრობლემებიც ახსენეთ, რატომ შეიქმნა ასეთი პრობლემები ტელევიზიაში?**

— სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლებთან ერთად, მეც ბიზნესმენი ვარ, ანუ ტელევიზიის ყველა დამფუძნებელი ბიზნესმენი იყო და სწორედ ამიტომაც გვინდოდა, ბიზნესსა და ეკონომიკაზე გაგვეკეთებინა აქცენტი. კახა ბაინდურაშვილმა და ლაშა ჩხენკელმა მოგვიანებით გადაწყვიტეს, საკუთარი წილი გაეყიდათ და ტელევიზიიდან წასულიყვნენ, მე ჩემი 10%-იანი წილი დავიტოვე და გაყიდვას არ ვაპირებ, რადგან ვფიქრობ TV3, საბოლოოდ, მაინც ბიზნეს-მიმართულების ტელევიზია იქნება. ჩვენს ქვეყანაში ყველა ტელეკომპანია პოლიტიზირებულია, მაგრამ გულწრფელად გეტყვით — არ მინდა, პოლიტიკაში ჩავერიო. გვინდა თუ არა, პოლიტიკა მაინც გვეხება, მაგრამ სურვილი არ მაქვს, აქცენტი პოლიტიკურ მიმართულებაზე გავაკეთო. თავიდანვე ბიზნესსა და ეკონომიკაზე ორიენტირებული ტელევიზიის გაკეთება მინდოდა და ამიტომაც დავუკავშირდი სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელებს, რომლებსაც ზუსტად ამ მიზნით მივყიდე ჩემი აქციების ნაწილი. კახა ბაინდურაშვილსა და ლაშა ჩხენკელს უფრო ფართო მასშტაბები ჰქონდათ, უცხო ქვეყნებთანაც აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს და შესაბამისად, მეტი კონტაქტიც ჰქონდათ. ორივე კარგი ბიზნესმენია, მაგრამ გაყიდეს საკუთარი წილი, ტელევიზია აღარ უნდათ. მე ჩემი საქმე მაქვს, ამიტომაც ვაგრძელებ მოლაპარაკებებს და აუცილებლად გავაკეთებ ისეთ ტელევიზიას, როგორიც თავიდანვე მინდოდა.

**— TV3-ში საკუთარი წილი ჯერ კახა ბაინდურაშვილმა გაყიდა, შემდეგ გენერალურ დირექტორად გრიგოლ ბაიბურთი დაინიშნა, რომელიც წლების წინ, ფინანსთა მინისტრის, კახა ბაინდურაშვილის მოადგილე იყო. 2014 წლის ზაფხულში, ტელევიზია გრიგოლ ბაიბურთმაც დატოვა და წილი ლაშა ჩხენკელმაც გაყიდა. თქვენი აზრით, რას უკავშირდებოდა ასეთი ხშირი ცვლილებები?**

— გრიგოლ ბაიბურთი ძალიან კარგი მენეჯერია და ფინანსებშიც კარგად ერკვეოდა. უბრალოდ, ტელევიზიას სულ სხვა სპეციფიკა აქვს და როგორც ჩანს, ტელევიზიის საქმიანობაში მაინც და მაინც კარგად გარკვეული არ აღმოჩნდა. ამიტომაც მიიღო გადაწყვეტილება და ტელევიზია დატოვა. ახლა ისეთ კადრებს ვეძებთ მენეჯმენტში, რომლებმაც ტელევიზია კარგად იციან, როგორც კი ასეთი მენეჯმენტი შეიკრიბება, მეწილედ დავრჩები და ტელევიზიას მათ მივანდობ. დიდი გამოცდილებაა საჭირო კარგი კადრების მოსაძიებლად და კარგი სატელევიზიო პროდუქტის შესაქმნელად. ვფიქრობ, მენეჯმენტს სწორედ ამ კუთხით შევარჩევთ. არ გამოვრიცხავ, ტელევიზიის ბორდში ძველი, გამოცდილი კადრებიც აღმოჩნდნენ, რომ იქნებ, საქართველოშიც როგორმე ავაწყოთ „ბლუმბერგის“ ტიპის პატარა ტელევიზია.

**— აზერბაიჯანელების გარდა, კონკრეტულად რომელ ინვესტორებთან აწარმოებთ მოლაპარაკებას და ვის შემოყვანას აპირებთ მენეჯმენტში?**

— ბევრი კადრია, რომლებმაც ტელევიზია კარგად იციან. ჯერ ზუსტად ვერ გეტყვით, რადგან მოლაპარაკება არ დაგვისრულებია. ინვესტორებს რაც შეეხება, აზერბაიჯანელების გარდა, თურქებთანაც ვაწარმოებთ მოლაპარაკებას.

**— 2014 წლის სექტემბერში, TV3-ის საინფორმაციო სამსახურის პროდიუსერმა და ჟურნალისტებმა არხი დატოვეს. რეორგანიზების შემდეგ, ჟურნალისტების დამატებასაც გეგმავთ?**

— რამდენიმე თანამშრომელი უხელფასო შვებულებაში გავუშვით, რადგან არხის რეორგანიზაციას უამრავი პრობლემა ახლავს. ტექნიკურ გადაიარაღებას თანხები სჭირდება, მაგრამ მიმაჩნია, რომ ძალიან კარგი, პროფესიონალი კადრები გვყავს. თუ სურვილი ექნებათ, დიდი სიამოვნებით გავაგრძელებ მათთან მუშაობას, მაგრამ ეს მათი გადასაწყვეტია. ვინც არხიდან წავიდა, ყველას გზას დავულოცავ, ვინც დარჩა, მათთან მომავალშიც სიამოვნებით ვიმუშავებ. მთავარია, დამფუძნებლებმა მივიღოთ გადაწყვეტილება, როგორი კონცეფცია გვექნება და რას გავაკეთებთ. როგორც კი ამას გავარკვევთ, მოლაპარაკებებსაც დავიწყებთ. ვეცდები, კადრები, რომლებიც დროებით წავიდნენ და დასაქმებულები არ არიან, დავაბრუნო და ბევრად სტაბილური კონტრაქტები გავუფორმოთ.

**— ძნელია კონკრეტული რიცხვის დასახელება, მაგრამ განახლებული ფორმატით მარტში გახვალთ ეთერში?**

— ძალიან მინდა, ასე იყოს და ეთერში მარტის დასაწყისში გავიდეთ. ზუსტ რიცხვს ჯერ ვერ გეტყვით, რადგან უამრავი ტექნიკური პრობლემა გვაქვს მოსაგვარებელი. ეს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, ვინ იქნება ჩვენი პარტნიორი.

**— ქალბატონო ლალი, TV3-ის აქციების 90% ვის ეკუთვნის ახლა?**

— 90%-იანი წილის მფლობელი ბიზნესმენი დავით მჟავიაა, რომელიც ტელევიზიის საქმიანობაში არ ერევა. ზოგადად, TV3-ის ვერც ერთი თანამშრომელი ვერ იტყვის, რომ რომელიმე დამფუძნებელი სარედაქციო პოლიტიკაში ერეოდა. დავით მჟავია ჩემი მეგობარია, მაგრამ ახლა ისიც ფიქრობს, რომ საკუთარი წილი გაყიდოს. არ გამოვრიცხავ, მისი კუთვნილი აქციები გამოვისყიდო და ისევ 100%-იანი წილის მფლობელი გავხდე. მინდა ახალი ფურცლიდან დავიწყო საქმიანობა, რადგან ასე თუ ისე, სატელევიზიო გამოცდილება მაქვს.

***

ტელეკომპანია TVS, ქართული სიგარეტი „პირველის“ მწარმოებელი ბიზნესმენის, ავთანდილ (ჭუტა) წერეთლის ოჯახის წევრებმა დააფუძნეს. TVS-ის დამფუძნებელი ქეთევან ჯაფარიძეა, არხი მისი მეუღლის, ვახტანგ წერეთლის ინვესტიციით დაიწყებს ფუნქციონირებას. ვახტანგ წერეთელი კი ჭუტა წერეთლის შვილია.

2014 წლის ზაფხულში, ტელეკომპანიის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ სპორტული გადაცემების მაუწყებლობას აპირებდნენ. რეალურად, ასეც იქნება, რადგან TVS-ის გადაცემათა 80%, მთლიანად სპორტს დაეთმობა. ცნობილია, რომ ამ არხზე მუშაობას დაიწყებს ლევან ჯავახიშვილი, რომელმაც შარშან ტელეკომპანია „იმედი“ დატოვა. 2014 წლის სექტემბერში, TV3-ის პროდიუსერები და რვა ჟურნალისტიც სწორედ ახალ ტელეკომპანია TVS-ზე გადავიდნენ, რომელიც ეთერში ნოემბერში უნდა გასულიყო. თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ ტექნიკური მიზეზებისა და არასაკმარისი ფინანსური რესურსების გამო, TVS-ის ეთერში გასვლა გადაიდო.

# ვის აწყობს ვადამდელი არჩევნები და მისი დანიშვნის შემთხვევაში როგორ კონფიგურაციას მივიღებთ პარლამენტში

*მე-3 გვერდიდან*

**ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი:** „მას მერე, რაც ხელისუფლებაში „ოცნება“ მოვიდა, საჯაროდ ვამბობთ, რომ ვადამდელი არჩევნების ჩატარება გვინდა. ახლაც ამის მომხრე ვართ, იმის მიუხედავად, რომ 2016 წლამდე ისედაც ძალიან ცოტა დრო დარჩა. ვადამდელი არჩევნების მიზანია, ნაციონალური მოძრაობა პარლამენტი შევიწროვდეს, ასევე, დაპატარავდეს „ოცნების“ კოალიციაც, რადგან დღეს პარლამენტი ხალხის ინტერესებს არ გამოხატავს. ასეთი პარლამენტი კი უნდა შეიცვალოს! ისიც მესმის, რომ ახლა ამისთვის არცერთი ოპოზიციური პარტია არაა მზად, არჩევნების დანიშვნამდე კი საკანონმდებლო ცვლილებები, საარჩევნო სიების დაზუსტება და აღწერის მონაცემების დროულად გასაჯაროებაა საჭირო. თორემ ამ კანონითა და სიებით არჩევნების ჩატარებას რა აზრი აქვს?! აქამდე ნებისმიერი თავმოყვარე სახელმწიფო საარჩევნო სიებს მაინც დააზუსტებდა, თუმცა ვიცი, „ოცნებას“ ამის მცდელობა სწორედ ახლა აქვს. ხელისუფლებამ რიგგარეშე არჩევნები რომ გამოაცხადოს, ეს ხალხის მოთხოვნის დაკმაყოფილება იქნება. ჩვენ მზად ვართ, მასში მონაწილეობა მივიღოთ. ზუსტად ამ სიებისა და კანონის პირობებში მივიღეთ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა, მაგრამ ბარიერი გადავლახეთ“.

**ჯონდი ბაღათურია, „ქართული დასი“:** „ვადამდელი არჩევნები საჭირო რომაა, ამას უკვე 2 წელია ვამბობთ. ეს პარლამენტი ხალხის ნებას არ გამოხატავს. თუმცა მანამდე ცვლილებები საარჩევნო სიებში, კოდექსსა და ცესკოს დაკომპლექტების წესშია საჭირო. ოპოზიცია და მთავრობა უნდა შეთანხმდეს და თუ „ოცნება“ მოინდომებს, დარწმუნებული ვარ, 1 თვეში ამის მოგვარებაც შეიძლება. სტრუქტურულად, ჩვენ სულ მზად ვართ არჩევნებისთვის. იმ შემთხვევაში, თუ არაფერი შეიცვალა, არც ჩემი გეგმების გამხელას ვაპირებ „ოცნებისთვის“. წინასწარ რატომ უნდა ვუთხრათ, ადგნენ და ინერვიულონ, რას იზამს ოპოზიცია ვადამდელი არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში, თან, იმასაც აქვს მნიშვნელობა, რას იტყვიან სხვა პარტიები და როგორი იქნება მოცემულობა. ქვეყანაში პოლიტიკური კოლაფსია, მოსახლეობას ეს პარლამენტი არ უნდა, რეალურად, საკონსტიტუციო გადატრიალების ზღვარზე ვართ. შესაძლოა, ყველაფერი არასახარბიელოდ დასრულდეს და ეს მთავრობა იმდენს იზამს, ხალხი ქუჩაში გამოვა, შენობებში შეუვარდება და ხელისუფლებას, თავის ნაშებთან ერთად, გამოათრევს კაბინეტებიდან“.

**გიგლა ბარამიძე, დემოკრატიული მოძრაობა საქართველოსთვის: „ვადამდელ** არჩევნებს ხელისუფლების მოსვლის დღიდან ვითხოვთ. „ოცნებამ“ ისტორიული ძეგლების აფეთქებით დაიწყო და ადამიანების აფეთქებით დაასრულა. აღმასრულებელი ხელისუფლების შესაცვლელად, პარლამენტის შეცვლაა საჭირო, ამიტომაა აუცილებელი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. რაც ქუჩის აქციებსა და რევოლუციებს ჯობია. ამიტომ დიდი ხანია, ამ საკითხს ვაყენებთ, ხელისუფლებას მოვუწოდებთ არჩევნები ჩაატაროს და საარჩევნო კანონი შეცვალოს. ახლაც, ახალქალაქიდან მოვდივარ, მხარდამჭერებს შევხვდით, უკვე ვმოქმედებთ, სამხრეთ საქართველოში ბევრგან ოფისები გავხსენით, ხალხს ვხვდებით, პარტიაში მხარდამჭერებს ვაწევრიანებთ და ა.შ. ფინანსურად ცოტას მოვიკოჭლებთ, მაგრამ, რადგან დაფინანსება მივიღეთ ხელისუფლებისგან, დაახლოებით 980 000, ეს იმის საშუალებას გვაძლევს, ჩვენი წარმომადგენლები კომისიაში გვყავდეს და ცოტა მოვმძლავრდეთ. დიახ, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებია აუცილებელი. ამისთვის კანონის ფარგლებში ყველაფერს ვაკეთებთ, მოვუწოდებთ, ვმოქმედებთ. ხალხი უკიდურესად დაძაბულ რეჟიმში ცხოვრობს. თუ საჭიროა, კანონის ფარგლებში, მიტინგებსაც ჩავატარებთ, რუსთაველზეც გამოვალთ და ვადამდელს ისე მოვითხოვთ“.

# „ცოლი ადეიშვილის დაცვამ ნამართვა, ახლა შვილის გარეშეც მტოვებენ...“

## საქართველოდან გაძევებული პატიმრის აღსარება და დაბრუნება სამშობლოში

### პატიმარი №0578

ბოლო დღეები, საზოგადოება თუ სოციალური ქსელები ეკა ყუშიტაშვილის თავგადასავლებით ერთობა. კარიკატურები, სახალისო ფრაზები, მიმართვები... მოკლედ, თელაველმა ეკამ ერი გაახალისა, თუმცა ამ ხალისის უკან ეკას დამჯარიმებელი პატრულის უმუშევრად დარჩენა დგას. რეალურად თუ ვიმსჯელებთ, ყუშიტაშვილსა და 2006 წლის 28 იანვარს შარდენ ბარში სუფრის წევრებს შორის განსხვავება არ არის. ერთი ეგაა, იქ მასშტაბი იყო დიდი, თორემ პოლიციის მაღალჩინოსნებმა ტუჩებდაბერილი ქალის გამო ვიღაც დასაჯეს. მე თუ მკითხავთ, წინა ხელისუფლება სწორედ დაუსჯელობის სინდრომმა გადაიყოლა, იმის შეგრძნებამ, რომ პასუხს არავინ არაფერზე მოსთხოვდა და თუ დღევანდელი ხელისუფლებაც ამ გზით ივლის, ცხრა წელი ნამდვილად არავინ დააცდის.

ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, 2007 წელს დაიწყო. ისეთი რეზონანსული არ იყო, როგორც სხვა ცნობილი საქმეები, თუმცა ნაცელიტაში ეს ამბავი ყველამ კარგად იცის.

რუსთავის №17 ზონის №72 საკანში ერთი პატიმარი იჯდა. არა, იმ კამერაში ერთი კი არა, ბევრი იჯდა, მაგრამ ის ერთი განსაკუთრებული იყო, რადგან ადმინისტრაცია მოწიწებით ეპყრობოდა. მისთვის ზონაზე არათუ განსხვავებული ტანსაცმელი, სუნამოები, სახის კრემები, შამპუნები და ისეთი ჰიგიენური საშუალებები შემოჰქონდათ, ბევრს თავისუფლებაზეც სანატრელი რომ ჰქონდა.

„პიდარასტი ხარ, შეჩემა?!“, — ჰკითხა ერთხელ ერთმა პატიმარმა ლუკას და მანაც, კითხვაზე კითხვითვე აუღელვებლად უპასუხა: „რატომ მეკითხები?“.

„აბა, რა პონტია, ხელზე კრემი, შამპუნი, მერე „პოსლე ბრიტია“ და სირობები. ზონაა აქ, ძმაო, სანატორიუმი კი არა. თუ დვიჟენია შეგიძლია მოიყვანო, კარგი ჩაი გაჩითე ან რამე ისეთი, ყველას რომ გაუსწორდეს“, — დაუსაბუთა პატიმარმა.

ლუკა მშვიდად მივიდა თავის კომოდთან, უჯრა გამოაღო, ძვირადღირებული ჩაი ამოიღო და მიანოდა.

„ვა, რა მაგარია?! კიდევ გაქვს, მომეცი, რა, შენ მაინც არ სვამ“, — გაუხარდა პატიმარს.

„ეგ იმ ნაგავს არ სვამს, აქ რომ იყიდება, თორემ მაგას სვამს. ახლა ეგ შეირგე და ტექსტები დაალაგე, როცა კაცს ელაპარაკები. პიდარასტი მამაშენია შენი გაკეთებისთვის“, — ლუკას და მის სტუმარს ზურგსუკან №0578-ის ხმა მოესმათ.

ლუკას მეგობრის დანახვა გაუხარდა, მეორეს — აშკარად არა და საკნიდან სწრაფად გავარდა, რადგან მიხვდა, რომ დარჩენილიყო, ჩაის წაართმევდნენ.

„შენ კიდე რა გჭირს, რამდენი სირიც კამერაში ამოვა, იმდენი ჩაი თუ დაურიგე, მაგათ ვერ გააძღობ! ამ დებილს გინდა ეგ დაულევია, გინდა შარდი, მაინც ვერ გაარჩევს. მეც ჩაიზე ვარ, გამითავდა“, — უთხრა №0578-მა.

„არ მოგცემ“, — სერიოზულად უთხრა ლუკამ.

„რატომ?!“

„შენ არ მითხარი, რამდენი სირიც ამოვა კამერაში, იმდენი ჩაი თუ დაარიგე, ეგრე სად არისო?!“ — გადაიხარხარა ლუკამ და თან ჩაის ახალი ყუთი ამოიღო უჯრიდან.

„ჰო, ჰო... იღადავე. წამიყვანენ ერთხელ ამ ზონიდან სხვაგან და დარჩები ამათ ხელში“, — ამის თქმა იყო და ლუკას სახე შეეცვალა.

„რომ იცოდე... ეგ თუ მოხდა, რომელ ზონაზეც წახვალ, იქ მოგყვები. ერთი სიტყვა და შეასრულებენ. ვერ გავძლებ მე აქ, მართლა ვერ გავძლებ“, — გაეღიმა ლუკას.

„მართლა, ეგ როდის უნდა მომიყვე, მაგ ერთ სიტყვას ვის ეუბნები?! ისიც მაინტერესებს, მართლა ელტონ ჯონივით რატომ გექცევიან, პატივისცემას ვგულისხმობ“, — გაეღიმა №0578-ს.

„გრძელი ისტორიაა და თან მელოდრამა“, — მწარედ გაეცინა ლუკას.

„ჰოდა, მომიყევი ერთხელ ეგ გრძელი ისტორია. თან მელოდრამა მიყვარს, კარგი ჟანრია“, — უთხრა №0578-მა და კამერიდან გავიდა.

ლუკა და პატიმარი №0578 თითქმის სულ ერთად იყვნენ. ერთ დღეს ლუკამ პირდაპირ უთხრა, შეიძლება მალე გამიშვან და მინდა იცოდე, რა გადამხდა თავს, რადგან ეჭვი მაქვს, გასვლიდან სამ დღეში საქართველოში აღარ გამაჩერებენო.

„რომელი კრიმინალური ავტორიტეტი შენ მყავხარ, სამი დღე რომ მოგცენ?“ — გაეცინა №0578-ს.

„მე არა, მაგრამ ჩემი ცოლია ავტორიტეტი“, — ჩუმად თქვა ლუკამ.

„ჰო, ცოლი... არასოდეს მიკითხავს, მაგრამ იშვიათად ახსენებ. შვილს უფრო ხშირად. დაშორებული ხარ? შეგიძლია არ მითხრა, ძალიან პირადულს ვეხები“, — მეგობრულად გაუღიმა №0578-მა.

„ოფიციალურად არა. ისე კი, აღარ ვართ ერთად. მაგის გამო ვარ ციხეში. უფრო ზუსტად, მაგის გამო კი არა, მაგის სილამაზის გამო“, — მწარედ ჩაეღიმა ლუკას და ნარზე ჩამოჯდა.

№0578 გვერდით მიუჯდა და ჩუმად უთხრა: „დაიწყე“!

„ლამაზია ჩემი ცოლი, ოღონდ ისეთი ლამაზი კი არა, ჩვენს ვითომ ვარსკვლავებს რომ აჩვენებენ ტელევიზორში. აი, მაკა ასათიანი ხომ ლამაზია? მაგაზე ლამაზია ჩემი ცოლი. ახლა არ მითხრა, როგორ გამოგყვა, თუ ასეთიაო. ბავშვობიდან გვიყვარდა ერთმანეთი, ბაღიდან... ვუყვარდი და გამომყვა. ჰოდა, ერთ დღეს ცოტა ანერვიულებული მოვიდა სახლში, მარკეტში ვიღაც ტიპი გადამეკიდა, გინდა თუ არა, მითხარი, ვინ ხარო. ამას არაფერი უთქვამს, მაგრამ მერე გამოტყდა, რომ ის ტიპი მეორედ შეხვდა უკვე. პირველად შემთხვევით, მეორედ სპეციალურად დააბირჟავა მარკეტის წინ, მანქანით ელოდა თურმე და უთქვამს, ხვალაც აქ ვიქნები და ზეგაც, სანამ არ გავიგებ, ვინ ხარო.

მეორე დღეს მეც გავყევი და იმის მიუხედავად, რომ კაცი ახლდა, ის ტიპი მაინც გადმოხტა „ლექსუსის“ ჯიპიდან, პირდაპირ მოვიდა და ჩემს ცოლს მკლავზე მოკიდა ხელი, ხომ გითხარი, დაგელოდებიო. არც დავფიქრებულვარ, ისე დავარტყი. მოსულმა გაოცებით შემომხედა, მერე ნიკაპში ისეთი ამომცხო, გავითიშე. აზრზე რომ მოვედი, სადღაც ოთახში ვეგდე. კარგი ნაცემი ვიყავი, მთელი სხეული მტკიოდა. ცოტა ხანში ის ტიპი მოვიდა ისევ, წიხლი ჩამაზილა, მაგინა და მერე მითხრა, ვინ ჩემი სირი ხარ, ამდენს რომ ბედავო?! გესმის?! ცოლს ვიცავდი და თურმე ვბედავ. ხმა არ ამომიღია. საღამოს გარეთ გამომიყვანეს და მივხვდი, წყნეთში ვყავდი. ვიპოვი ახლაც იმ სახლს, რომ გამიშვან. დამაგდეს ქუჩაში ასე ნაცემი და წავიდნენ. მხოლოდ ერთი კაცი ეხმარებოდა. „ლექსუსის“ ნომერი დავიმახსოვრე, დამალვა არც უცდიათ და მერე ჩემს მეგობარ პატრულს ვთხოვე, გამირკვიე, ვინ არის-მეთქი. იმანაც გაარკვია და მითხრა, მაგ მანქანით ადეიშვილის დაცვა მოძრაობსო. მივხვდი, შარში ვიყავი. შინ მისულს ცოლმა მითხრა, რომ გაითიშე, კივილი ავტეხე, მაგრამ იმ ტიპმა მანქანაში ჩაგტენა და წაგიყვანაო. არაფერს ერიდებოდნენ. სასწრაფოდ უნდა მომეფიქრებინა რაღაც. საბურთალოზე, უბანში, სადაც ბავშვობა გავატარეთ, ბინა ორივეს გვქონდა. ორივემ გავყიდეთ. და ავჭალაში გადავედით. თითქოს ყველაფერი დამთავრდა... მაგრამ მალე იქაც მოგვაგნეს. ჩემს ცოლს პირდაპირ უთხრეს, შეეშვი მაგას, ცხოვრებას განახებთო. ახლაც არ ვიცი, რა გზებით, მაგრამ ადეიშვილამდე მივედი. მიმიღო, მომისმინა, საერთოდ, სიტყვაც არ უთქვამს, ერთი სიტყვაც კი, უბრალოდ თავი დაიქნია და გამომიშვა. მეორე დღეს ჩემს შპს-ში ფინანსური შემოვიდა, დარღვევები აღმომიჩინეს და ბორკილებით გლდანში გამაქანეს. კინაღამ მომკლეს ცემით. ერთხელ, მეორედ, მესამედ...

ადვოკატს ყველაფერს ვუყვებოდი. მას ჩემებთან გქონდა კავშირი. ერთ დღეს გამომიცხადა, შენი ცოლი სახლიდან წავიდა, ვიღაც ტიპთან ცხოვრობსო. კინაღამ გავგიჟდი, მაგრამ ციხიდან რა უნდა მექნა?! სამაგიეროდ, მიდგომა შეიცვალა — მცემდნენ კი არა, ხელისგულზე მატარებდნენ და ვხვდებოდი, ამის საფასურს გარეთ ცოლი ნატურით იხდიდა. ახლა რომ გითხრა, გაბოროტებული არ ვარ-თქო, მოგატყუებ, მაგრამ რა ვქნა? მითხარი, რა გავაკეთო?! ხომ ხარ მეგობარი?! მეუბნებიან, მალე გაგიშვებთო. ისევ ესენი არიან ვლასტში, მე როგორც მითხრეს, ჩემი ცოლი ახლა სხვასთან არის, კიდევ ერთ მაღალჩინოსანთან. ზამთარ-ზაფხულ ევროპული თუ აზიური დასვენება არ აკლია, ბავშვი ხან მაგასთან არის, ხან ჩემებთან. სამსახურიც დაიწყო სადღაც პიარში თუ რაღაც სისულელეში და მე კიდევ ამ ყველაფერს ისე მიგზავნიან, არ ვითხოვ. მოაქვთ, ტოვებენ და ეგ არის რა“, — დაასრულა ლუკამ.

„რას აპირებ?!“ — წართმეული ხმით ჰკითხა №0578-მა.

„რა უნდა დავაპირო, მითხარი?! შემომითვალეს, რომ გამოხვალ, ევროპაში გაგიშვებთ, საქმესაც გინახავთო. იციან, ენები ვიცი, არ გამიჭირდება იქ, მაგრამ... ცოლი წამართვეს, ახლა შვილის გარეშეც მტოვებენ. ვიღაც რომ მოვკლა, მეც მომკლავენ. თავს ხომ არ მოვიკლავ?! მითხარი, რა ვქნა, როგორ მოვიქცე?! შენ რას იზამდი, ეგ მაინც მითხარი?!“ — ლუკა თითქმის ტიროდა.

„მე რას ვიზამდი, შენ არ გამოგადგება. შენი გადასაწყვეტია, როგორ მოიქცე. ინდივიდუალურია ეს. ახლა თუ არ გეწყინება, მარტო ყოფნა მინდა და დამტოვე“, — უთხრა პატიმარმა და ნარზე წამოწვა. ლუკა კამერიდან წელმოწყვეტილი გავიდა.

* * *

ლუკა მ. სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან მალე გაუშვეს. ორ კვირაში სამშობლოს დატოვება მოსთხოვეს და ისიც იძულებული იყო, დამორჩილებოდა. მუშაობა ევროპაში სასტუმროს მენეჯერად დაიწყო, თუმცა საქართველოში ჩამოსვლა კარგა ხნით აეკრძალა. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ლუკა დაბრუნდა და... ცოლს შეურიგდა.

როცა №0578-ს უთხრეს ლუკას ამბავი, მან მწარედ გაიღიმა და ჩუმად თქვა: „ხომ გითხარი ლუკა, როგორც მე მოვიქცეოდი, შენ არ გამოგადგება-თქო“.

## ვერსიანიუსი

### შსს-მ ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს და კონტრტერორისტული დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1989 წელს დაბადებული ზურაბ ხ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას „კალაშნიკოვის“ სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 6 მჭიდი, 185 საბრძოლო ვაზნა და გადაჭრილი თოფი ამოიღეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

*„ვერსიანიუსი“*

### შსს-მ საქართველოში შემოტანილი დიდი ოდენობით მეტადონი ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს და ამავე დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1978 წელს დაბადებული ომარ ჯ. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანის ბრალდებით თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რაც ექსპერტიზის დასკვნით 0,8768 გრამი მეტადონია. გამოძიებამ დაადგინა, რომ ომარ ჯ-მ ნარკოტიკული საშუალება საქართველოში უკრაინიდან შემოიტანა.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც 14 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

*„ვერსიანიუსი“*

# „სილიკონის სკანდალი“ გრძელდება

## დაცულია თუ არა საქართველო უხარისხო იმპლანტებისგან

თამარ ლომსაძე
599-209401

გარკვეული პერიოდის წინ საფრანგეთში ე.წ. სილიკონის სკანდალი აგორდა. მიუხედავად მისი მასშტაბურობისა, ყველას ეგონა, ვითარება კონტროლსაც დაექვემდებარებოდა და ხალხიც დაშოშმინდებოდა, მაგრამ... ასე არ მოხდა. მართალია, დღეს Poly Implant Prothese აღარ ფუნქციონირებს, მაგრამ ქალები, რომლებიც სწორედ ამ ფირმის მიერ წარმოებული იმპლანტების გამო დაზარალდნენ და ბევრს კიბოც გაუჩნდა, დღემდე ითხოვენ დახმარებას... თუმცა აჯობებს, ყველაფერს ქრონოლოგიურად მივყვეთ:

იმპლანტების ერთ-ერთმა მწარმოებელმა ფირმამ Poly Implant Prothese ტექნიკური სილიკონი გამოიყენა. ტრიუკი იაფფასიანი იყო, თუმცა კოლოსალურმა მოგებამ ეს ნაბიჯიც გაამართლა და დაზარალებულების ვიშვიშიც გადაფარა. დაინფიცირებული სისხლი, კიბო, ლეიკემია... ამ დიაგნოზით მაშინ არაერთი ქალი იტანჯებოდა და საფრანგეთის ჯანდაცვის სამინისტრომაც გადაწყვიტა, იმპლანტები უფასოდ შეეცვალა, ოღონდ მხოლოდ მათთვის, ვისაც პლასტიკური ოპერაცია სამედიცინო ჩვენებით ჰქონდა ჩატარებული. რა მოხდა შემდეგ და რა ბედი ეწიათ საკუთარ სილამაზეზე მზრუნველ ქალბატონებს? ისინი დღემდე ცდილობენ, სამართლის პოვნას, მაგრამ უშედეგოდ.

კომპანიის დირექტორს ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მის ასისტენტებთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდა, ფირმა ოფიციალურად ბანკროტად გამოცხადდა და ამ ვითარებაში რთული არ არის გარკვევა, აანალიზებს თუ არა ვინმე ზარალს. რა თქმა უნდა არავინ!

არადა, ფაქტია — სამშენებლო, ტექნიკურმა სილიკონმა უამრავი ადამიანი შეიწირა და ეს სასამართლო ექსპერტიზამაც დაადასტურა — გელი, რომელიც წლები ორგანიზმში იღვრებოდა იმიტომ, რომ Poly Implant Prothese-ს პროდუქცია საკმაოდ თხელი იყო, უამრავ დაავადებას იწვევს და მათ შორისაა კიბოც.

როდესაც ერთ-ერთი ქალბატონის ორგანიზმიდან ეს იმპლანტები ამოიღეს, გაირკვა რომ გელის მეათედი უკვე ჩაღვრილი იყო. ექსპერტიზამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ყოვლად დაუშვებელია, ეს მასალა მედიცინაში გამოიყენებოდეს.

ამ სკანდალური ფაქტის შემდეგ წელიწადზე მეტი გავიდა, თუმცა ათიათასობით დაზარალებულთაგან მხოლოდ 523-ს ამოაცალეს მავნე პროთეზი.

რით იყო გამოწვეული კომპანია PIP-ზე ამხელა მოთხოვნა? — მისი პროდუქცია ყველაზე იაფი ღირდა და შესაბამისად, არც კლიენტების მოზიდვა გასჭირვებიათ.

არადა, საფრთხე, რაზეც ექიმები გამუდმებით საუბრობენ სუსტი სქესის წარმომადგენლებთან, არაფერია ქალების მუდმივ სწრაფვასთან შედარებით სრულყოფილებისკენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, რით შეიძლება აიხსნას ის, რომ „სილიკონის სკანდალმა“ ესტონეთამდეც მიაღწია და, სხვათა შორის, არც არაბეთის ქვეყნები დაინდო და არც ტუნისი?

ესტონელი პლასტიკური ქირურგი ირწმუნებოდა, რომ Allergan-ის იმპლანტებს იყენებს, რომელიც ბევრად ხარისხიანია და შვიდი დამცავი ფენისგან შედგება, თუმცა საინტერესო ისაა, როგორ გადაურჩა მისი კლინიკა PIP-ის პროდუქციას?

არადა, PIP-ის იმპლანტები ჯერ კიდევ 2010 წელს აკრძალეს, მაგრამ დღემდე რატომ იმკის მსოფლიოს პლასტიკური ქირურგია მისი პროდუქციით გამოწვეულ სავალალო შედეგებს, ეს კითხვა უპასუხოდ რჩება.

ზოგი ექსპერტი ღიად აცხადებს, რომ ასეთი სკანდალები მხოლოდ კონკურენტების მიერ იყო პროვოცირებული და რეალობას ნაკლებად შეესაბამებოდა. მაგრამ ფაქტები საპირისპიროს ამტკიცებს — კიბო ტექნიკურმა სილიკონმა გამოიწვია; ასევე ერთი შემთხვევა დაფიქსირდა ლეიკემიისა — დაავადებით 54 წლის ქალბატონი გარდაიცვალა, მისმა ნათესავებმა მარსელის სასამართლოში შეიტანეს სარჩელი, თუმცა პირდაპირი კავშირი დაავადებასა და სილიკონის იმპლანტებს შორის არ დადასტურდა. სამაგიეროდ არაერთი ფაქტის გახსენება შეიძლება, როცა პლასტიკურმა ოპერაციებმა და უხარისხო სილიკონმა ადამიანებს ცხოვრება დაუმახინჯა — მსოფლიო ბაზარზე ხომ PIP-ის წილი დაახლოებით 80 პროცენტი იყო. ალბათ ეს გახდა მიზეზი, რის გამოც კომპანიამ თავი ბანკროტად გამოაცხადა — წარმოუდგენელია, ათასობით ოპერაციის ხარჯი დაეფინანსებინა მაშინ, როცა უხარისხო იმპლანტების ამოღება სამ ათას ევრომდე ჯდება, მომჩივანი კი მსოფლიო მასშტაბით უხვადაა — რუსეთში, ისრაელში, საფრანგეთში, ბრიტანეთში...

რაც შეეხება ტუნისს, ამ სკანდალის შემდეგ სერიოზულად შეირყა იქაური პლასტიკური ქირურგების რეპუტაცია, არადა მანამდე ოპერაციების მეტი წილი სწორედ იქ ტარდებოდა, რადგან სხვა ქვეყნებთან შედარებით, ბევრად იაფი ღირდა.

სილიკონის სკანდალს გვერდი ვერც აშშ-მ აუარა, თუმცა იქ მოვლენები ბევრად ადრე განვითარდა: ჯერ კიდევ 1982 წელს ხარისხის კონტროლის ამერიკულმა ორგანიზაციამ (FDA) სამედიცინო დაწესებულებებიდან ანგარიშები გამოითხოვა სილიკონის იმპლანტების ხარისხთან დაკავშირებით. 1984 წლიდან სასამართლო პროცესებმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო და 1992 წლისთვის ვითარება კონტროლს აღარ ექვემდებარებოდა. ზოგიერთი მსხვილი კომპანია იძულებული გახდა, თავი ბანკროტად გამოეცხადებინა, რადგან თითოეული უკმაყოფილო ადამიანი და მისი სარჩელი ფინანსურ მდგომარეობაზე დამანგრევლად მოქმედებდა. 1992 წელს FDA-მ გადაწყვიტა გამოეცხადებინა მორატორიუმი, თუმცა იმის გამო, რომ სილიკონის გელსა და დაავადებებს შორის კავშირი მაშინ ვერ დაადგინეს, სხვა ქვეყნებს აშშ-სთვის არ მიუბაძავთ.

რა ვითარებაა ამ მხრივ საქართველოში? კონტროლდება თუ არა შემოტანილი იმპლანტების ხარისხი და რამდენად ვართ დაცულები მსგავსი სავალალო შედეგებისგან? — ამ კითხვებზე ერთგვაროვანი პასუხი არ არსებობს და სამწუხაროდ, ყველაფერი, ისევ და ისევ, ექსპორტიორისა და ამა თუ იმ პლასტიკური ქირურგის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული. ცნობილი ქირურგი **გია გვარამია** „ვერსიასთან“ აცხადებს, რომ საქართველოში ოფიციალური გზით შემოსულ ნებისმიერ იმპლანტს გააჩნია წარმოშობისა და შესაბამისობის სერტიფიკატი: **„ეს უზრუნველყოფს ფალსიფიცირებული პროდუქციისგან თავის არიდებას... ჩვენს კლინიკაში გამოიყენება მხოლოდ ავტორიზებული დისტრიბუტორის მიერ მოწოდებული ამერიკული იმპლანტები (MENTOR)“.**

რაც შეეხება ხარისხს, ბატონი გიას განცხადებით ეს პირველ რიგში „კლინიკისა და ექიმის პრეროგატივაა“. ძნელია, არ დაეთანხმო, თუმცა აქ არის ერთი „მაგრამ“ — მხოლოდ ეს ორი ფაქტორი ვერ იქნება უსაფრთხოების გარანტი, მით უმეტეს, რომ ექიმებიც ვერაფრით დაიცავენ საკუთარ პაციენტებს, თუ ერთ არამშვენიერ დღეს, ექსპორტიორმა უხარისხო პროდუქციის ურცხვად გასაღება გადაწყვიტა. ასე რომ, საქართველოც ვერ იქნება დაზღვეული მსგავსი სკანდალებისგან, თუმცა ბატონი გია აცხადებს: **„ჩვენს კლინიკაში მხოლოდ დროით გამოცდილ, მსოფლიოს მოწინავე ბრენდების პროდუქციას იყენებენ, ასეთი კომპანიების მიერ ტყუილი და არაკეთილსინდისიერი რეკლამა კი ფაქტობრივად გამორიცხულია. განსაკუთრებული სიფრთხილე აუცილებლად უნდა გამოვიჩინოთ იმ პროდუქციის მიმართ, რომლის წარმოება ახალი დაწყებულია ან მწარმოებელი კომპანია ახალი გამოსულია ბაზარზე. აუცილებელია, პროდუქციის ხარისხი და სანდოობა დრომ დაამტკიცოს“.**



# ჩოხატაურიდან NBG-ის გაქცევას, ლანჩხუთიდან „ჯი-აი-დის“ განდევნა მოჰყვა

## გურია კიდევ ერთ კომპანიას დაატოვებინეს

გიორგი სირაძე
„ვერსიისთვის“ გურიიდან

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა კომპანია ,,ჯი-აი-დის“ ხელშეკრულება პირობების შეუსრულებლობის გამო შეუჩერა. კომპანია, რომელიც ლანჩხუთში სარემონტო სამუშაოებს აწარმოებდა, 2012 წლიდან უკვე შეყვანილი იყო დისკვალიფიცირებულთა სიაში. ლანჩხუთის მუნიციპალური შესყიდვების განყოფილების ხელმძღვანელის, **მაია აფხაზავას** განმარტებით, ელექტრონულ ვაჭრობას სისტემა აკონტროლებს, ისინი მხოლოდ სატენდერო მოთხოვნებს აყენებენ, რაც კომპანიამ დააკმაყოფილა: **„ბოლო სამი წლის განმავლობაში, მას შესრულებულ სამუშაოებში პრობლემა არ ჰქონია“.**

გავრცელებული ინფორმაციით, ამ საკითხით ფინანსური პოლიცია დაინტერესდა, რომელმაც ლანჩხუთის გამგეობაში, მუნიციპალიტეტის ათ სოფელში შპს „არქ დიზაინ მშენის“ მიერ წყლის სისტემის შიდაქსელის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით შესრულებული სამუშაოს შესახებ არსებული დოკუმენტაციის შესწავლა დაიწყო.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა ქუჩების მოასფალტებისა და სანიაღვრე არხების რეაბილიტაციის მიზნით ტენდერი რამდენიმე თვის წინ გამოაცხადა. ელექტრონულ ვაჭრობაში გამარჯვებულმა კომპანია ,,ჯი-აი-დიმ“ სარემონტო სამუშაოები ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე დაიწყო და 8 ოქტომბრამდე გადაწყვიტა დასრულება. ქალაქის 7 ქუჩაზე ჩასატარებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის 840 000 ლარი იყო გამოყოფილი, მაგრამ სამუშაოები მხოლოდ ორ ქუჩაზე ჩატარდა.

სამუშაოების არაჯეროვნად შესრულებისთვის, ამ ხნის განმავლობაში კომპანიამ, მუნიციპალიტეტისგან გაფრთხილება არაერთხელ მიიღო, ბოლოს კი, პირობების შეუსრულებლობის გამო, ხელშეკრულება შეუჩერეს.

მუშახელი, რომელიც კომპანიას დაქირავებული ჰყავდა, სახელფასო დავალიანების გასტუმრებას უშედეგოდ ელის. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის, ხელშეკრულება არ დადებულა, შეთანხმება სიტყვიერად მოხდა.

**ნოდარ ხრიკაძე: „ვინც ვმუშაობდით, ყველას ასაღები გვაქვს თანხა. მე დაახლოებით 1 100 ლარი მეკუთვნის“.**

**„მათ უნდა ჰქონდეთ ხელშეკრულება გაფორმებული. თუ არ მისცემენ შესაბამისს ანაზღაურებას, ეს უკვე სასამართლოს დავის საგანია“,** — გვეუბნებიან გამგეობაში.

მშენებლობის გრაფიკის დარღვევის გამო შეუწყდა ხელშეკრულება ჩოხატაურში კულტურის სახლის მშენებელ კომპანია NBG-საც. NBG-ის ხელშეკრულების შესაბამისად, პროექტით გათვალისწინებული 1 მილიონ 200 ათასი ლარი უნდა აეთვისებინა, აქედან მხოლოდ 55 000 ლარის სამუშაო შეასრულა.

მუნიციპალიტეტის გამგეობისგან წინასწარ გადარიცხული 300 ათასი ლარით კი, კომპანიამ ჩოხატაური ისე დატოვა, დღემდე მათი ადგილსამყოფელი ვერ გაარკვიეს.

როგორც მუნიციპალიტეტის გამგებელი **ირაკლი კუჭავა** აცხადებს, კომპანიისგან მიტაცებული თანხის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობას საბანკო გარანტიის გამცემი ,,არდი ჯგუფი“ აიღებს.

ჩოხატაურში კულტურის სახლის მშენებლობა 2012 წელს საპარლამენტო არჩევნების დროს დაიწყო და 2014 წლის ბოლომდე უნდა დასრულებულიყო.

## 2008 წლის ომში დაღუპული პოლიციელების შვილები ბაკურიანში დაისვენებენ

შინაგან საქმეთა მინისტრის, ვახტანგ გომელაურის გადაწყვეტილებით, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული შსს-ს თანამშრომლების შვილები მთის კურორტზე, ბაკურიანში დაისვენებენ.

12 ბავშვი ბაკურიანში, ერთ-ერთ სპორტულ სკოლაში, 10 დღის განმავლობაში დაისვენებს და სათხილამურო სპორტს დაეუფლება. მოზარდები ასევე სხვადასხვა შემეცნებით და სპორტულ ღონისძიებაში მიიღებენ მონაწილეობას. დასვენების ბოლო დღეს ბავშვებს შორის თხილამურებზე დგომაში შეჯიბრი გაიმართება. გამარჯვებულებს სამინისტროსგან საჩუქრები გადაეცემათ.

*„ვერსიანიუსი“*

# ვაზაგაშვილის საქმის სკანდალური სტენოგრამა

## იბეჭდება უცვლელად „აფხაზეთის ხმის“ ნებართვით

**„აფხაზეთის ხმამ“ ექსკლუზიურად მოიპოვა ბეჭდვური ფაილი, რომელიც ფარულად ჩაწერილი საუბრის სტენოგრამაა. სტენოგრამა ოფიციალურადაა შედგენილი, აქვს დავალების ნომერი და ბეჭედი და, როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, თან ერთვოდა ე.წ. კორტების სპეცოპერაციის საქმეს. მოგვიანებით, „ახალი გამოძიების“ პერიოდში, ეს სტენოგრამა საქმიდან გაქრა, რადგან ამ საუბრიდან მტკიცდება, რომ კორტებთან სპეცოპერაციის დროს დაღუპულები იმ დღეს ვარკეთილში, კონკრეტული პირის ბინის გასაძარცვად მიდიოდნენ, სადაც, „საქმის მიმცემის“ მიხედვით, 30 ათასი დოლარი ინახებოდა. ამის შესახებ სტენოგრამაში „მ1“ შიფრით მოხსენიებული მამაკაცი, იგივე ედო ჰყვება. მას შეკითხვებს ორი მამაკაცი უსვამს, რომელთაგან ერთი „მ“, მეორე კი „მ2“ შიფრითაა მოხსენიებული. „მ1“ ანუ ედო ამჟამად უკრაინაშია და სასჯელს იხდის. ჩვენი ინფორმაციით, მან უკრაინაში ქალს ყელი გამოჭრა, რის შემდეგაც დააკავეს და გაასამართლეს. საუბრისას ედო თავის შესახებაც ჰყვება, საიდანაც ირკვევა, რომ რამდენჯერმე იყო ნასამართლევი, მათ შორის, ყაჩაღობაზეც. მისი სიტყვებით, ის საბაგიროსთან უნდა შეხვედროდა ზურა ვაზაგაშვილსა და მის მეგობრებს სწორედ 2 მაისს, საჭესთან უნდა დამჯდარიყო და ვარკეთილში წაეყვანა, სადაც ლილოს ბაზრობაზე დასაქმებული, ეთნიკურად აზერბაიჯანელი ბიზნესმენის ბინა უნდა გაეძარცვათ. ეს საუბარი ჩაწერილია ისე, რომ „ედომ“ ამის შესახებ არ იცის. ის შედგა „ედოს“ დაკავების შემდეგ (ნარკოტიკებთან დაკავშირებით) და ჩაწერილია კორტების სპეცოპერაციის დასრულებიდან რამდენიმე თვის შემდეგ. „ედო“ ამბობს, რომ დიღომში მცხოვრები რამდენიმე „ბლატნოი“ მისით კორტების ოპერაციის შემდეგ დაინტერესდა და ისიც შესახვედრად დიღომში მივიდა. ეს და სხვა დეტალები იკითხება ჩანაწერების ასლებში, რომლებსაც გთავაზობთ აღსანიშნავია, რომ ჩვენი ინფორმაციით, „ედო“ არის სწორედ ის მოწმე, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა ახსენა და განაცხადა, რომ ის უკრაინაშია.**

**დავალების შიფრი: MV-7-117-06**
კონტროლის ადგილი
კრებსის რეგისტრაციის
გაფორმების თარიღი 06.06.06.
ფურცლების რაოდენობა 21

**საუბრობენ მამაკაცები:**

ოთახში შემოიყვანეს მამაკაცი /მ1/. რომელიც დაჯდა მაგიდასთან.

**მ.** /სომხურად ეკითხება/ რა ჰქვია?

**მ1.** მე არ მესმის სომხური!

**მ.** რატომ?

**მ1.** დედა ქართველი მყავს, სახლში ძირითადად ქართულად ვლაპარაკობდით, მამა რუსეთში იყო ხოლმე, ისე რუსულად და ქართულად ვლაპარაკობ!

**მ.** ეს რა კოპლები გაქვს?

მ1 .../?გაურკვ./

**მ.** რამდენი გაქვს ნასამართლეობა?

**მ1.** სამი

**მ.** სამი? სად იჯექი.

**მ1.** აქ მქონდა 3 წელი და ორი რუსეთში. 1 წელი და 10.

**მ.** პირველი ვადა, რამდენი?

**მ1.** სამი.

**მ.** სამი წლის იყავი?

**მ1.** არა, 3 წლიანი სასჯელი მქონდა.

**მ.** პირველად რისთვის დაგიჭირეს?

**მ1.** მანქანა გავიტაცე.

**მ.** გამტაცებელი ხარ?

**მ1.** არა, ისე, რაც შემხვდებოდა, გატაცებასაც ვერ დაარქმევ ამას.

**მ.** რამდენი წლის იყავი?

**მ1.** 15.

**მ.** 15? და 3 წელი მოგცეს?

**მ1.** ხო, 3 წელი.

**მ.** აქ დაგაკავეს?

**მ1.** გლდანში.

**მ.** რომელ წელს?

**მ1.** 84 წელი იყო.

**მ.** 84-ში რამდენი წლის იყავი 15, არა?

**მ1.** 15. ივლისში დამაკავეს 4-ში და სექტემბერში გავხდი... ნუ 2 თვის შემდეგ.

**მ.** და 3 წელი მოგისაჯეს?

**მ1.** კი, 3 წელი.

**მ.** ბოლომდე იჯექი?

**მ1.** კი.

**მ.** სად იჯექი?

**მ1.** ავჭალაში. მერე რუსეთში გადამაგზავნეს.

**მ.** რუსეთში რისთვის?

**მ1.** აი ის დრო იყო, როდესაც შევარდნაძე რუსეთში საგარეო საქმეთა მინისტრად გადაიყვანეს და აქ პატიაშვილი მოვიდა და რაღაცა პატარა რეპრესიები გაატარეს.

**მ.** სამი წელი იქ იჯექი?

**მ1.** არა, აქ ვიჯექი და...

**მ.** რამდენი ხანი იჯექი აქ?

**მ1.** სადღაც, წელიწადი და 7 თუ 8 თვე.

**მ.** დანარჩენი წლები იქ იჯექი?

**მ1.** კი, იქაც თვეები ვიჯექი. წელი არ ვმჯდარვარ.

**მ.** იქ სად, რომელ ქალაქში?

**მ1.** ბელორეჩენსკი, კრასნოდარის მხარე.

**მ.** ა, ეს ქვეყნის ბოლოა.

**მ1.** არა, იქ არა, ის სხვაა, ეს კრასნოდარია და არა კრასნოიარსკი.

**მ.** რომელი ქალაქი?

**მ1.** ბელორეჩენსკი.

**მ.** რანაირი ზონა იყო?

**მ1.** მცირეწლოვნების, რანაირი უნდა ყოფილიყო?

**მ.** ამ, „წითელი“?

**მ1.** „წითელი“, ხო.

**მ.** შენ რას აკეთებდი?

**მ1.** იქ არაფერს. იქ უფროსებმა მითხრეს, რომ იქ რომ მიხვალო, უთხარიო, ვითომ წერა-კითხვის უცოდინარი ხარო. მშენებლობაზეც არ დავდიოდი.

**მ.** არ დადიოდი?

**მ1.** არა. ვეუბნებოდი, რომ ბუასილი მაქვს და ფეხიც გადავიტყავე. იქ ყოველდღე ვინ დაგიწყებდა შემოწმებას?

**მ.** ე.ი. „ბლატნოი“ ცხოვრება მოიწყვე?

**მ1.** ნუ იცი როგორ? მეზარებოდა და იქ უნდა გემუშავა.

**მ.** აქ როგორ იჯექი?

**მ1.** ნორმალურად რა.

**მ.** ნორმალურად როგორ? მაყურებელი ვინ იყო?

**მ1.** იყვნენ რა... რომ ჩავედი იმ წელში ვინ იყო... მერე აკოფოვი იყო.

**მ.** იქ თუ აქ?

**მ1.** აქ. იქ არ ყოფილა მაყურებელი. მერგოლეები იყვნენ და მორჩა.

**მ.** „ჩეკები“ რამე ეგეთი?..

**მ1.** პატარებზე არა და დიდებზე კი, იყო.

**მ.** მეორე „სროკი“?

**მ1.** ლვოვში ვიჯექი.

**მ.** იმის შემდეგ, რაც გაგათავისუფლეს, რამდენ ხანში დაგიჭირეს?

**მ1.** 5 წელი და 4 თვე ვიყავი თავისუფლად. ამ დროის მანძილზე, როსტოვში ვმუშაობდი.

**მ.** რაზე?

**მ1.** იქ ჩემს სიძეს, საამქრო ჰქონდა გახსნილი და მძღოლად ვმუშაობდი. პარკებს აკეთებდა.

**მ.** პარკებს?

**მ1.** ხო, 5 კაპიკიანი, 10 კაპიკიანები რომაა, 25-იანები გაყიდვაში.

**მ.** მაგის მერე, რაზე დაგიჭირეს?

**მ1.** მერე ისე, რა...

**მ.** სიმთვრალით?

**მ1.** არა, ნარკოტიკზე, კოკაინზე ჩავვარდი...

**მ.** შემთხვევით?

**მ1.** გეფიცები, ჩანთები მოვიპარეთ...

**მ.** ხო?

**მ1.** იქ აეროპორტში, ახალგაზრდა ბიჭები იყვნენ, ვესაუბრებოდით... არ გჯერათ ხომ? სასაცილოა, ხო? ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ უნდა დამიჯეროთ. იმ დროს კოკაინი მარტო ტელევიზორში ქონდა ხალხს ნანახი, ისიც ვიდეოს, რომ უყურებდნენ. იქ კი აეროპორტის დაცვაში ახალგაზრდა ბიჭები მუშაობდნენ და იმათაც უნდოდათ ფულის გაკეთება. ხელფასი არ იყო საკმარისი და ისინი „ნაკოლს“ გვაძლევდნენ...

**მ.** ყველგან/?/

**მ1.** ისინი „ნაკოლს“ გვაძლევდნენ და ჩვენ კი ჩანთებს ვპარავდით. თურმე ამ ჩანთებს უთვალთვალებდნენ, კურიერის დაჭერა უნდოდათ. მე კი, ეს ჩანთები ავიღე და როგორც წესია, წყნარად გამოვდივარ მანქანასთან. არც კი გამოვცდენილვართ, ბახ-ბუხ და კინაღამ გავგიჟდი. მერე თვითონაც გაერკვნენ. მოვიპარე, რა გინდათ-თქო? ლვოვში ბევრი ოპიუმია. იქ ხომ ასეთი ყაყაჩოა, და სოფლის დღესასწაულიც არის „მაკარეი“ ჰქვია.

**მ.** არის?

**მ1.** კი. ყაყაჩოს თესლები ხო, მე კი არ გამისინჯია, მარა ხარშავდნენ. იქ კი ამ თესლებს, ცხობაში იყენებენ.

**მ.** საკვებში?

**მ1.** ხო, რა.

**მ.** რამდენი დაგაკავეს?

**მ1.** მარტო მე წავედი „სროკზე“.

**მ.** ის ვალინეცი როგორ? (?)

**მ1.** ...არა!

**მ.** შენ თავზე აიღე ყველაფერი?

**მ1.** არა, რაღაცა მანეთები მივეცით, მაშინ ეს გადიოდა და ნორმალურად ყველაფერი. წავედი, ერთი წელი მომისაჯეს და მორჩა.

**მ.** კოკაინზე?

**მ1.** ხო, მე ხომ ქურდობაზე არ ვიჯექი, არა? და თანაც მე ამაზე კი არ გამასამართლეს, არამედ მე კიდევ მქონდა ხსნარი ქილაში. ამაზე...

**მ.** შენ ე.ი. უკვე დიდი ხანია იჩხირები?

**მ1.** არა, როგორ დიდი ხანია?

**მ1.** აბა, 15 წლის დაგიჭირეს და 3 წლის შემდეგ გაგათავისუფლეს.

**მ1.** კი, 18 წლის ვიყავი.

**მ.** 18 წლიდან უკვე იკეთებ.

**მ1.** არა, მაშინ არ ვიკეთებდი.

**მ.** 18 და 5?

**მ1.** 23

**მ.** 23. ერთი წელი მოგცეს, არა?

**მ1.** ერთი წელი.

**მ.** გამოხვედი თავისუფლებაზე, როდის?

**მ1.** ერთი წელი რომ მომისაჯეს, ჩამსვეს 92-ში ნოემბერში და გამათავისუფლეს 93-ში და თვენახევრის შემდეგ, დეკემბერში ისევ დამიჭირეს.

**მ.** მერე რისთვის?

**მ1.** მერე ყაჩაღობისთვის.

**მ.** ყაჩაღობისთვის?

**მ1.** ნუ, ეგრე მომცეს ფაქტიურად, ყაჩაღობის მუხლით. ერთს ფული უნდა მოეტანა. სადღაც 2 წელი ფულს არ იხდიდა. თანაც იმ ფულს, რომელიც მან აიღო და აღარ  დააბრუნა. ამიტომ ჩვენ შევედით მასთან სახლში, ისე იარაღებით და რამით კი არა, მსუბუქად გადავუარეთ და თვითონ მოგვცეს და ჩვენ გამოვედით. 2 წელი გავიდა, 2 წლის მერე დამიჭირეს.

**მ.** თქვენ კი დაგავიწყდათ?

**მ1.** კი.

**მ.** ... /?/

**მ1.** ... მოკლედ, მე ბინას ვიკეთებდი ჩემთვის. მე იქ ოროთახიანი ბინა მქონდა,.

**მ.** საკუთარი თუ?

**მ1.** კორპუსში.

**მ.** შენი საკუთარი?

**მ1.** კი ჩემი. მე იქ, ლვოვში, ნახევარ წელიწადში არცთუ ისე ცუდად წამოვიწიე. მაშინ გადაყრილი მანქანები იყო, ნაწილებს აქეთ ვაგზავნიდით და აქ არანაირი პრობლემა არ იყო.

**მ.** მოპარულები?

**მ1.** არა, გადაყრილები...

**მ.** როგორ გადაყრილები.

**მ1.** ფულის მაგივრად, ნუ საბჭოთა კავშირის დროს, შემნახველი სალაროდან ხომ უნდა გაგეკეთებინა. აქ კი ის, რაც ზევით იყო და კიდევ დროზე უნდა მოგელაპარაკებინა. მაგალითად, საკომისიო აფასებდა 5000-ად ხო, 5000-ს ვაძლევდით და 35-ს აღარ. და გადმოგვყავდა აქეთ ქერჩის და ლიჩოვსკის გავლით. მოპარულ მანქანებსაც ასე, იქ იპარავდნენ და აქეთ გამოქონდათ. ეხლა უკვე ესე სამუშაო აღარაა.

**მ.** ე.ი. 10 წელი იჯექი?

**მ.1.** კი.

**მ.** ე.ი. 3 ნასამართლეობა გქონდა?

**მ1.** კი. 3.

**მ.** და 10 წელი სად იჯექი?

**მ1.** ლვოვში.

**მ.** რომელ ზონაში?

**მ1.** ისე... „რეჟიმნაია“, რომ ვთქვა, მთლიანად წითელი იყო არა...

**მ.** „ბლატნოები“ იყვნენ, იჯდნენ?

**მ1.** კი იყვნენ.

**მ.** ქურდები?

**მ1.** ჩემს იქ ყოფნაში 3 შემოვიდნენ, მაგრამ სამივე იყვნენ „სუხარები“. მხოლოდ ერთი იყო თბილისელი, აზიზა მოვიდა.

**მ.** აზიზა?

**მ1.** კი, გლდანელი.

**მ.** ქურთი?

**მ1.** კი, ქურთი. შემხვდა.

**მ.** ეგ, სახელით იყო?

**მ1.** ხო, სახელით იყო.

**მ.** აზიზა? გახსოვს შენ ეგეთი?

მ2. ეხლა სად არის?

**მ1.** არ ვიცი, მაგი დაიჭირეს შონსკის ოლქში, აი კინოც ხომ გინახია, ფირზე რომ აწერია შონსკის...

**მ1.** ნუ მოკლედ, იქ ჩასვეს და იქ, კარგად იჯდა.

**მ.** შენ გიცნობდა?

**მ1.** კი. ერთი კვირა იჯდა ზინაში. მერე დაკეტეს და ჟიტომირში გადაიყვანეს. „კრიტში“. იქიდან, რომ განთავისუფლდა წავიდა მოსკოვში და მერე მანქანაში, თუ სადღაც ააფეთქეს.

**მ.** ბოლოს საიდან გათავისუფლდი?

**მ1.** ლვოვიდან.

**მ.** ლვოვიდან. ეს რომელ წელს იყო?

**მ1.** 2003 წლის დეკემბერში.

**მ.** აქამდე იჯექი?

**მ1.** 93-ში ჩამსვეს და 10 წელი ხომ მქონდა. მერე იქ ტუბერკულოზით დავავადდი. 2-ჯერ ვიყავი ავად. ეს, მარჯვენა მხარე დეფორმირებული მაქვს, სითხე ჩამიდგა და ინფექცია შემიტანეს.

**მ.** ე.ი. 2003-დან 2006-მდე აქ იმყოფები? გაუსვლელი იყავი?

**მ1.** არა, გავდიოდი, მოსკოვში ვიყავი.

**მ.** მოსკოვი და ლვოვში იყავი?

**მ1.** ლვოვში არა, მარა კიევში ვიყავი.

**მ.** უკრაინაში.

**მ1.** ერთი წლის უკან ვიყავი.

**მ.** რა ჩაიდინე იქ?

**მ1.** არაფერი.

**მ.** არ გინდა ლაპარაკი?

**მ1.** ნუ, კიევში რა მნიშვნელობა აქვს, რა გავაკეთე? იქიდან ჩამოვედით აქ სტუმრად. იქ ისე ურთიერთობა გვქონდა.

**მ.** რა ჩაიდინე?

**მ1.** არაფერი. ერთი გველი მოვახრჩვე.

**მ.** /იცინის/....?

**მ1.** არა, მართლა.

**მ.** ცუდადა ხარ?

**მ1.** გავცივდი ცოტა. არა ამათმა მითხრეს, იკეთებო და მე ვუთხარი, რომ სექტემბერში გადავაგდე-მეთქი, მაგრამ ხანდახან ხდება ასეთი რამ. ეხლა 5 დღეა გავცივდი და იმას ვიწვეთებ. სახლში წამალი მაქვს და ვიწვეთებ.

**მ.** და მაინც, ლვოვში რა ჩაიდინე?

**მ1.** ლვოვში არაფერი.

**მ.** კიევში, უკრაინაში?

**მ1.** არაფერი, ლვოვში არ ვიყავი. ვიყავი კიევში.

**მ.** რატომ ინტერესდებიან იქ, შენით?

**მ1.** იქ რამოდენიმე გველებთან ვლაპარაკობდი, მითხრეს, წავიდეთ კიევშიო და მე კი მინდოდა, ბიზნესით დავკავებულიყავი.

**მ.** მშენებლობით?

**მ1.** არა, პატარა მაღაზია, მოდიო წავიდეთო და მეც „ნაგლად“, იმათ იციან, რომ იქ ბევრი წამალია. მე ვუთხარი, რომ იქ პრობლემები მაქვს. კიევში რომ ვიყავი, მთელი ამბავი დამჭირდა, რომ გამოვსულიყავი და ბიჭები მომეხმარნენ ამაში... ასეთი რამეები, რა. მე ხომ ვიცი ვინ არიან, გველები და იმიტომ, რომ ყოფილიყვნენ...

**მ.** მოიცა, მოიცა, ვინა გყავს, იქ გოგონა გყავს?

**მ1.** კი, მყავს.

**მ.** რა ქვია?

**მ1.** ირინა.

**მ.** გიყვარს?

**მ1.** ისე რა, ერთი წელია რაც ვიცნობ.



**მ.** მაღაზიის გახსნა იქ გინდა? აგურები, რამე ბლოკები ხომ გაქვთ ჟესტები?

**მ1.** არა.

**მ.** ხომ გაჩუქეს?

**მ1.** მე ისე გითხარი „პლიტა“ და რამე...

**მ.** თაღლითი ხარ, ხომ შენ?

**მ1.** ნუ როგორ თაღლითი, თუ ვინმე ბიძა იყოს და რატომ არ უნდა მოვატყუო? ეს ხომ ისეთი მსუბუქი კრიმინალია, არა? ნუ რატომ შემდეგისთვის? ავიღებ და ღმერთმა ქნას, გამოვა გამოვა, თუ არა და, რა არის, აგურებს უკან ხომ არ წაიღებს? აშენებულს, ბეტონის მოსარევით „მეშალკით“ ხომ არ მომივარდება, არა. ხომ არ დამიწყებს დანგრევას. დროთა განმავლობაში მივცემ. მისი გადაგდება კი არ მინდა. ასე უცებ არ შემიძლია მიცემა. უნდა გავაკეთო და ამისთვის საჭირო თანხებს არ ვფლობ.

**მ.** შენ სრულყოფილად ფლობ რუსულ ენას.

**მ1.** კი, რუსულ სკოლაში ვსწავლობდი.

**მ.** აქაც?

**მ1.** მე მხოლოდ აქ ვსწავლობდი, მეტი არსად.

**მ.** იქ შენ სკოლა კი არა, მთელი აკადემია დაამთავრე. 10 წელი იქ, 23 წელი აქ.

**მ1.** იქ უკრაინული, სრულიად სხვაა.

**მ.** ა?

**მ1.** თუმცაღა, მე ვიცი უკრაინული ენა.

**მ.** კარგად იცი.

**მ1.** რაღაცას ვახერხებ.

**მ.** აქ „ბლატნოებთან“ გაქვს რამე ურთიერთობა?

**მ1.** ეხლა რას გაიგებ, ვინ „ბლატნოია“ და ვინ ისე...?

**მ.** კი ვერ გაიგებ, მარა მაინც ხომ გაქვს?

**მ1.** ნუ ისე რა. მე ვერ ვიტყოდი, რომ ძალიან მჭიდრო ურთიერთობა მაქვს.

**მ.** ვისთან გაქვს, ან გქონდა?

**მ1.** მე არ ვიცი, თქვენ ვინ გაინტერესებთ?

**მ.** რუდიკა ვინაა, გერმანიაში?

**მ1.** რუდიკა ჩემი დისშვილია. იეღოვას მოწმეა.

**მ.** რისი მოწმე?

**მ1.** იეღოვას. რომ ჩამოვედი და დოკუმენტებს ვაკეთებდი, მაშინ.

**მ.** რისი მოწმე? მე ვერ გავიგე.

**მ1.** აი ეხლა რომ არიან, იეღოველები. აი ის არის. ძალიან მორწმუნე ბავშვია. არ ეწევა.

**მ.** რამდენი წლისაა.

**მ1.** რამდენი წლისაა, 32-33.

**მ.** დიდი ხანია იქ არის?

**მ1.** კი. დიდი ხანია. გერმანიის მოქალაქეა, ორი შვილი ჰყავს უკვე. კრიმინალით არაა დაკავებული. შეიძლება მოვწიო? თორე ისეთი საუბარი წავიდა, რომ...

**მ.** შენ რომ გიყურებ. ჩვენ უნდა გამოგვივიდეს საუბარი. თუ არა, მაშინ მარტო შენი ბრალი კი არ იქნება, ჩვენიც.

**მ1.** ამანაც ასე მითხრა. რომ დალაპარაკება უნდაო. რა უნდა კონკრეტულად მეთქი? აი, ამან.

**მ.** ჩემზე?

**მ1.** არა, ისე დალაპარაკება გვინდაო.

**მ.** შენ მობილური გაქვს?

**მ1.** კი.

**მ.** რა ნომერია?

**მ1.** 541900 ლაი-ლაი.

**მ.** როგორ გგონია, რატომ ხარ აქ? შენი გაცნობა უნდოდათ?

**მ1.** არა, ნუ გასაგებია, რომ რაღაცის გასარკვევად. თუ ეს კიევთანაა დაკავშირებული, მაშინ ცალსახაა, რომ იქ.

**მ.** კიევი შორსაა და აქ...?

**მ1.** აქ არა მგონია.

**მ.** ზუსტად იცი, სად იმყოფები?

**მ1.** ვიცი, სამმართველოში.

**მ.** არა, სამინისტროში.

**მ1.** ა, სამინისტროში?

**მ.** ხო.

**მ1.** აქ სარდაფში ზიან არა, ქურდები?

**მ.** აქ ჩვენს ქვევით? ნუ რა, ვერაფერს ვერ ხვდები?

**მ1.** უცოდველი კაცი არ არსებობს.

**მ.** მე იცი რას ვცემ პატივს, თუ გინდა გულწრფელად. აქ რამდენი ქურდიც მოყავთ, ყველა ჩვენს ხელში გადის. აი ეს არის ქვეგანყოფილების უფროსი ქურდების და ავტორიტეტების და ასეთი საქმეების. მე უფროსის მოადგილე ვარ. შენ როგორ გგონია, მე არ ვამბობ, რომ ჩვენ ასეთი მაგრები ვართ, მაგრამ შენ როგორ გგონია, შენმა პიროვნებამ რატომ დაგვაინტერესა?

**მ1.** იქნებ, სადღაც ვფიგურირებ თუ სურათი გაქვს, ე.ი. რაღაცა...

**მ.** როგორ გგონია, რომელ საქმეში ფიგურირებ?

**მ1.** რომ არასოდეს...

**მ.** მოდი რა, ედო გქვია?

**მ1.** კი.

**მ.** მოდი გულწრფელად ვისაუბროთ. ჩვენ არაფერს არ ვიწერთ, ან სიმართლე ვთქვათ, ან საუბარი არ შედგება. კარგი?

**მ1.** კარგით.

**მ.** შენ გქონდა შეხება ქურდებთან, როდესაც „სხოდკებზე“ საუბრობდით, მაგალითად იმაზე, რომ ერთი ტყუილი სიტყვისთვის კბილებში მოგდებ და ასეთი რამე გაგიგია?

**მ1.** არა!

**მ.** არ გაგიგია? მე მინდა აგიხსნა, რომ ახლა ისეთი მილიცია აღარაა, როგორიც წინათ იყო, რომ კლავდნენ. თუ შედგება საუბარი, შედგება, თუ არა და შენ შენთვის და ჩვენ ჩვენთვის.

**მ1.** ეს ყოველთვის ასე იყო. მე ყველაფერი კარგად მესმის, მაგრამ მე უნდა ვიცოდე, რაზეა საუბარი.

**მ.** შენ ძალიან კარგად იცი, ხვდები.

**მ1.** კი, შემიძლია რომ, მივხვდე, მაგრამ...

**მ.** მე შენ მიგახვედრებ და დანარჩენი შენ უნდა მოყვე. კარგი? შენ ტელევიზორს უყურებ?

**მ1.** ვუყურებ.

**მ.** კორტებზე, ხომ გახსოვს, რა მოხდა?

**მ1.** მე მივხვდი, ვისზეა საუბარი.

**მ.** ვისზე?

**მ1.** საშკაზე, ხო? ვიცი და იმიტომ.

**მ.** ჩვენ ყველაფერი ვიცით?

**მ1.** მე ვიცი!

**მ.** საიდან?

**მ1.** იქიდან, რომ იმ დღეს მე მასთან მქონდა შეხვედრა.

**მ.** და ერთად მიდიოდით საქმეზე?

**მ1.** მთლად ასე არაა.

**მ.** აბა როგორ?

**მ1.** ეგენი უნდა მოსულიყვნენ ჩემთან დასალაპარაკებლად და თან რაღაც უნდა მოეტანათ.

**მ.** რა უნდა მოეტანათ?

**მ1.** რომ ვთქვა, მათთან რაღაცა თემა მქონდა სალაპარაკო, არა.

**მ.** მოდი ედო, მე შენ საბოლოოდ გეტყვი და მეტს აღარ...

**მ1.** მე ნომერიც იმიტომ გამოვცვალე. მე ვიცოდი, რომ ჩემი ნომერი დაფიქსირებულია. მე ამ საკითხებზე უკვე ვილაპარაკე.

**მ.** ვისთან ილაპარაკე?

**მ1.** იყვნენ ბიჭები მოვიდნენ, დამირეკეს, დავილაპარაკოთო. მეც ყველასთან დავილაპარაკე.

**მ.** ვინ იყვნენ ბიჭები, თანამშრომლები?

**მ1.** არა მგონია.

**მ.** აბა ვინ?

**მ1.** მე მგონია, რომ „ბლატნოები“.

**მ.** რა უნდოდათ?

**მ1.** რა მოხდა, როგორ მოხდა? მეც ყველაფერი ვუთხარი.

**მ.** რა უთხარი?

**მ1.** რომ მე მათთან უნდა მქონოდა შეხვედრა და ისინი უნდა მოსულიყვნენ.

**მ.** და მერე?

**მ1.** მე ვუთხარი, რომ ეს ეხებოდა სამუშაოს.

**მ.** რომელ სამუშაოს? მშენებლობას?

**მ1.** არა, მე ასე ვეძახი. შენ ხომ გესმის?

**მ.** მე არ მესმის ეს ენა.

**მ1.** ნუ, მანქანაზე საჭესთან ვიჯექი და ჩვენ ამას გავაკეთებთო. მე ვუთხარი, ბაზარი არ...

**მ.** რას გავაკეთებთო?

**მ1.** მათ უნდოდათ „ხატაში“ შესვლა.

**მ.** რომელში? რომელზეც შენ მიეცი „ნაკოლი“?

**მ1.** მე არ მიმიცია.

**მ.** ვინ მისცა?

**მ1.** ეს ჩემი ნახელავი არაა. ეს იმათი საქმეა.

**მ.** შენც იმათთან გადიოდი? მართლა?

**მ1.** მეც იმათთან ერთად უნდა წავსულიყავი.

**მ.** მეოთხე პისტოლეტი, შენ უნდა გჭეროდა?

**მ1.** პისტოლეტი არა. მე საჭესთან უნდა ვმჯდარიყავი, რაციით.

**მ.** მომისმინე, მათ 2 რაცია ქონდათ?

**მ1.** ერთი იმათ უნდა ქონებოდათ და მეორე...

**მ.** შენ მანქანაში უნდა მჯდარიყავი, არა? და მაგათ დაელოდებოდი?

**მ1.** კი.

**მ.** და იმათ დალოდებოდა? ეს აცრა რა საჭირო იყო?

**მ1.** რომელი აცრა?

**მ.** იქ აცრა ჰქონდათ, ძაღლის დასაძინებლად.

**მ1.** ეს მე არ ვიცი.

**მ.** ისინი ხომ სამნი იყვნენ?

**მ1.** სამნი.

**მ.** საჭესთან რა გვარი იყო, საჭესთან?

**მ1.** მე გვარები არ ვიცი. სახელები ვიცი.

**მ.** ვაზაგაშვილი. რა ქვია? მოდი რა ჩამოიტანე. /ოთახიდან გადის **მ2**/ საშას საიდან იცნობ?

**მ1.** საშა გავიცანი იმასთან, მაქსიმე იყო ერთი ასეთი ქურდი გლდანში, ეზიდი.

**მ.** ეზიდი? მაქსიმე? ა, ხო, ხო.

**მ1.** ხოდა, მე როდესაც ჩემოვედი ლვოვიდან, აქ გავიცანი.

**მ.** მაქსიმესთან?

**მ1.** ხო, რა მაგი კრივში ვარჯიშობდა და მეც იმ დროს, ცოტ-ცოტას ვვარჯიშობდი კრივში და ურთიერთობა გვქონდა. ზღვაზე დავდიოდით.

**მ.** როგორ გაიცანით ერთმანეთი?

**მ1.** აქ ურთიერთობაში.

**მ.** საშას ვგულისხმობ.

**მ1.** მე ის, იქ ვნახე.

**მ.** ისიც „ბლატნოია“?

**მ1.** იქ მოდიოდა, ხო.

**მ.** და იქიდან იცნობ მას?

**მ1.** ის რომ მოვიდა, ჩვენ ვიჯექით, ლუდს ვსვამდით, ისეთი არაფერი. სიმპათიური ბიჭია, გოგოებთან დავდიოდით. ხშირად არა, მარა გვქონდა ურთიერთობა.

**მ.** და იმისი მხრიდან.

**მ1.** იმისი მხრიდან, ყველა არ ვიცი... სტუმრები...

**მ.** ეს მისი გუნდია, ვაზაგაშვილის?

**მ1.** კი.

**მ.** არ მოსულა (?)

**მ1.** არა, იმ დროს საბურთალოზე ტრიალებდა. „კანარგო“ რომაა, ვაჟა-ფშაველაზე, ახლოს ცხოვრობს. ზუსტად სად, მე არ ვიცი.

**მ.** ეხლა იცი სად არის?

**მ1.** მისი ცოლი?

**მ.** კარგი თავი გავანებოთ. მერე ვინ შემოგთავაზათ ეს საქმე? ოღონდ სიმართლე.

**მ1.** უშუალოდ საშა**მ.**

**მ.** საშამ შენ შემოგთავაზა?

**მ1.** კი, შენ უნდა დაჯდე საჭესთანო.

**მ.** ვინმე სხვა არ ყავდათ, საჭესთან რომ დაესვათ?

**მ1.** მე ვუთხარი, რომ მე არ შემოვალ-მეთქი...

**მ.** კარგი, სიმართლე მითხარი.

**მ1.** მე სიმართლეს გეუბნებით. მე საჭესთან უნდა ვმჯდარიყავი. ჩვენ ასეთი საუბარი გვქონდა. თანაც ბოლო მომენტში მე უარი უნდა მეთქვა. მე არ მინდოდა, რადგან სერიოზულად მინდოდა მაღაზიით დასაქმება. ეს სიმართლეა, იმიტომ, რომ სახლშიც მქონდა ამაზე ლაპარაკი.

**მ.** ეს ვიცი.

**მ1.** მე დისშვილთანაც მქონდა ამაზე ლაპარაკი.

**მ.** კარგი გავანებოთ თავი ამ მაღაზიას. სად უნდა შეხვედროდი იმ დღეს?

**მ1.** საბაგიროსთან.

**მ.** საბაგიროსთან?

**მ1.** კი.

**მ.** შენ იცი რამდენი იყვნენ?

**მ1.** ის მარტო უნდა ყოფილიყო.

**მ.** მარტო?

**მ1.** კი.

**მ.** რა, ორნი მიდიოდით საქმეზე?

**მ1.** არა, იმ დღეს გადავწყვიტეთ.

**მ.** აბა როგორ?

**მ1.** ის უნდა მოსულიყო შეხვედრაზე და მათთან ერთად მე უნდა წავსულიყავი.

**მ.** მოდი, რა ნუ ურევ?

**მ1.** არა, მე ცუდად ვაზროვნებ და იმიტო**მ.** მანამდე...

**მ.** იქ აცრა ჰქონდათ, ძაღლის დასაძინებლად.

**მ1.** ეს მე არ ვიცი.

**მ.** ისინი ხომ სამნი იყვნენ?

**მ1.** სამნი.

**მ.** საჭესთან რა გვარი იყო, საჭესთან?

**მ1.** მე გვარები არ ვიცი. სახელები ვიცი.

**მ.** ვაზაგაშვილი. რა ქვია? მოდი რა ჩამოიტანე. /ოთახიდან გადის **მ2**/ საშას საიდან იცნობ?

**მ1.** საშა გავიცანი იმასთან, მაქსიმე იყო ერთი ასეთი ქურდი გლდანში, ეზიდი.

**მ.** ეზიდი? მაქსიმე? ა, ხო, ხო.

**მ1.** ხოდა, მე როდესაც ჩემოვედი ლვოვიდან, აქ გავიცანი.

**მ.** მაქსიმესთან?

**მ1.** ხო, რა მაგი კრივში ვარჯიშობდა და მეც იმ დროს, ცოტ-ცოტას ვვარჯიშობდი კრივში და ურთიერთობა გვქონდა. ზღვაზე დავდიოდით.

**მ.** როგორ გაიცანით ერთმანეთი?

**მ1.** აქ ურთიერთობაში.

**მ.** საშას ვგულისხმობ.

**მ1.** მე ის, იქ ვნახე.

**მ.** ისიც „ბლატნოია“?

**მ1.** იქ მოდიოდა, ხო.

**მ.** და იქიდან იცნობ მას?

**მ1.** ის რომ მოვიდა, ჩვენ ვიჯექით, ლუდს ვსვამდით, ისეთი არაფერი. სიმპათიური ბიჭია, გოგოებთან დავდიოდით. ხშირად არა, მარა გვქონდა ურთიერთობა.

**მ.** და იმისი მხრიდან.

**მ1.** იმისი მხრიდან, ყველა არ ვიცი... სტუმრები...

**მ.** ეს მისი გუნდია, ვაზაგაშვილის?

**მ1.** კი.

**მ.** არ მოსულა (?)

**მ1.** არა, იმ დროს საბურთალოზე ტრიალებდა. „კანარგო“ რომაა, ვაჟა-ფშაველაზე, ახლოს ცხოვრობს. ზუსტად სად, მე არ ვიცი.

**მ.** ეხლა იცი სად არის?

**მ1.** მისი ცოლი?

**მ.** კარგი თავი გავანებოთ. მერე ვინ შემოგთავაზათ ეს საქმე? ოღონდ სიმართლე.

**მ1.** უშუალოდ საშა**მ.**

**მ.** საშამ შენ შემოგთავაზა?

**მ1.** კი, შენ უნდა დაჯდე საჭესთანო.

**მ.** ვინმე სხვა არ ყავდათ, საჭესთან რომ დაესვათ?

**მ1.** მე ვუთხარი, რომ მე არ შემოვალ-მეთქი...

**მ.** კარგი, სიმართლე მითხარი.

**მ1.** მე სიმართლეს გეუბნებით. მე საჭესთან უნდა ვმჯდარიყავი. ჩვენ ასეთი საუბარი გვქონდა. თანაც ბოლო მომენტში მე უარი უნდა მეთქვა. მე არ მინდოდა, რადგან სერიოზულად მინდოდა მაღაზიით დასაქმება. ეს სიმართლეა, იმიტომ, რომ სახლშიც მქონდა ამაზე ლაპარაკი.

**მ.** ეს ვიცი.

**მ1.** მე დისშვილთანაც მქონდა ამაზე ლაპარაკი.

**მ.** კარგი გავანებოთ თავი ამ მაღაზიას. სად უნდა შეხვედროდი იმ დღეს?

**მ1.** საბაგიროსთან.

**მ.** საბაგიროსთან?

**მ1.** კი.

**მ.** შენ იცი რამდენი იყვნენ?

**მ1.** ის მარტო უნდა ყოფილიყო.

**მ.** მარტო?

**მ1.** კი.

**მ.** რა, ორნი მიდიოდით საქმეზე?

**მ1.** არა, იმ დღეს გადავწყვიტეთ.

**მ.** აბა როგორ?

**მ1.** ის უნდა მოსულიყო შეხვედრაზე და მათთან ერთად მე უნდა წავსულიყავი.

**მ.** მოდი, რა ნუ ურევ?

**მ1.** არა, მე ცუდად ვაზროვნებ და იმიტო**მ.** მანამდე...

**მ.** გქონდათ რამოდენიმეჯერ შეხვედრა?

**მ1.** კი. 3-4-ჯერ შევხვედრივართ.

**მ.** ყველაფერზე ისაუბრეთ.

**მ1.** არა ბოლომდე არა. იქ რაღაცა შუალედებში ჩვენ ვსაუბრობდი ალბათ, 2 თვე. ჩვენ 2 თვის განმავლობაში ალბათ 4-ჯერ შევხვდით.

**მ.** ედო, ეს შენი სიტყვებია, რომ იქ თუ იქნება „შუხური“, იქ ჩვენიანია და არავინ „პატრულს“ არ დაურეკავს. ეს შენი სიტყვებია?

**მ1.** მე არ მახსოვს სიტყვა-სიტყვით საუბარი.

**მ.** ეხლა საუბარში შენ ამბობ, რომ საუბარი უნდა შემდგარიყო, არა, ასე ამბობ? რა, საუბარი შენთან იარაღის გარეშე შედგა? რა, შენი ეშინოდათ?

**მ1.** არა, არ ეშინოდათ. მათ უნდოდათ დაეტოვათ ვაზისუბანში.

**მ.** რა?

**მ1.** იარაღი. იქ უნდა დაეტოვათ.

**მ.** რატომ?

**მ1.** ახლობელთან. იმ ადამიანს მეც კი ვიცნობ, მარა კონკრეტულად მისი ბინა არ ვიცი.

**მ.** კონკრეტულ კითხვას გისვამ, კურაშინი (?) რომელ „ხატაში“ შედიოდა?

**მ1.** ვაზისუბანში.

**მ.** სად და ვისთან?

**მ1.** იქ ის მესამე ხომ არის? იმათ ყველაფერი შესანიშნავად იციან. შენც

**მ.** ყველაფერი შესანიშნავად იცი.

**მ1.** მე ხო იქ ვცხოვრობ უბანში, არა? მეტ-ნაკლებად ვიცი ეს უბანი, ვაზისუბანი და ა.შ. ამიტომ მე უნდა დავმჯდარიყავი საჭესთან და ისინი შედიოდნენ.

**მ.** რომელ „ხატაში“ მე შენ გეკითხები?

**მ1.** ეს (?) არ ვიცი, ვაზისუბანში.

**მ.** შეგიძლია გვაჩვენო პირდაპირ? მე იცი რა მინდა? მე მინდა გავიგო, სიმართლეს ლაპარაკობ თუ არა. რაღაცა ნაწილს სიმართლეს ამბობ და ბოლოში უკვე ამოკლებ.

**მ1.** თავიდან, როდესაც ფული ძალიან მჭირდებოდა მაღაზიისთვის...

**მ.** ეს ვიცი.

**მ1.** მე დავთანხმდი. მერე რაღაცა გამომიჩნდა და ყველანაირად უარს ვამბობდი.

**მ.** ეს ვიცი. შენ დისშვილს გადააგდებდი და მანქანა გინდოდა.

**მ1.** არა არ ვაგდებდი.

**მ.** „გიოლფი-3“

**მ1.** არა არ გადამიგდია.

**მ.** კაი რა, ედო არ გიმნდა, ჩვენ ყველაფერი ვიცით შენს შესახებ იმ დღიდან, საიდანაც ჩვენ შენზე ვმუშაობთ. მოდი არ გინდა, თუ იქნება საუბარი, იქნება, თუ...

**მ1.** მოიცადე, მე გეტყვი. მე მისი გადაგდება კი არ მინდოდა, არამედ დროის გაწელვა, მანქანის გაყიდვა და ფულის მიცემა.

**მ.** შენი დისშვილის, ნათესავია ხო, შეგეძლო დაგერეკა და ფული გესესხა. ისიც ხო ვიღაცისგან იღებს, არა? კარგი დავანებოთ თავი. რომელ „ხატაში“ შედიოდით?

**მ1.** 1 სართულზე, 4 სადარბაზოიან კორპუსში, საპარიკმახეროს პირდაპირ.

**მ.** რამდენი უნდა გამოგეტანათ?

**მ1.** იქიდან? ზუსტად არ ვიცი, მაგრამ მიახლოებით, მაგრამ არანაკლებ ნაღდი ფული 30-სა მაინც, სუფთად ხელზე.

**მ.** საიდან იცოდით, რომ იქ 30 0000-ია?

**მ1.** ასე დავთვალეთ, თანაც (?) მუშაობს ლილოში.

**მ.** რაზე?

**მ1.** ნუ იქ, 2 თუ 3 ადგილი აქვს თავისი და თვითონ აზერბაიჯანელია, ცოლი სომეხი ყავს და კიდე სახლის პირდაპირ რაღაცა საპარიკმახერო აქვს.

*დასასრული მე-10 გვერდზე*

# ვაზაგაშვილის საქმის სკანდალური სტენოგრამა

*მე-9 გვერდიდან*

**მ.** რა ქვია?

**მ1.** ამ მეპატრონეს?

**მ.** ხო!

**მ1.** .../პაუზა/ ზუსტად არ ვიცი, უბრალოდ გავითიშე ეხლა.

**მ.** მიდი, შენ ეხლა თავი აიყვანე რა, ყურადღებით იყავი!

**მ1.** ნუ, თუ ბინა უნდა გაჩვენოთ? მე გაჩვენებთ და მერე თქვენ თვითონ....

**მ.** ჩვენ ყველაფერი ვიცით ამაზე! მე მინდა, შენგან გავიგო ეს! მაინტერესებს, შენ გულახდილი ხარ ჩვენს მიმართ თუ არა!

**მ1.** სახელი არ მახსოვს... მე ამათ იმ დღეს ვუთხარი, თუ სალაპარაკოა, მე ვილაპარაკებ, რა!... მერე ყველაფერი შევწყვიტოთ.

**მ.** რა შევწყვიტოთ?... საქმეზე არ მიდიოდი მაგასთან ერთად? რა მნიშვნელობაა, ვინ იქნებოდა იქ... /?/

**მ1.** ხო, მაგრამ მერე გადავიფიქრე!

**მ.** რატომ გადაიფიქრე?

**მ1.** გადავიფიქრე, არ მინდოდა, არ ვიცი! იმიტომ, რომ პატარა „პრასვეტი“ გამოჩნდა და ვიფიქრე, რატომ გავრისკო მეთქი!

**მ.** მაშინ რატომ შეხვდი მაგას 3-ჯერ და მსჯელობდით!

**მ1.** იმ მომენტისთვის არავითარი „პრასვეტი“ არ მქონდა, ვალები მქონდა და მარტო ამიტომ! ვიფიქრე თუ საჭეზე დავჯდები ერთი 10%-ს მომცემენ თქო!

**მ.** რატომ 10%, შენ საქმე მიეცი და...

**მ1.** საქმე მე არ მიმიცია!

**მ.** აბა ვინ მისცა?

**მ1.** ჩემი საქმე არ იყო, მაგათი საქმე იყო!

**მ.** ვისი მაგათი?

**მ1.** საშკა მოვიდა ჩემთან გასარკვევად!

**მ.** რის გასარკვევად?

**მ1.** მკითხა, ამ ადამიანს იცნობო? მანქანით მივედით, შევხედე სახეს და ვუთხარი, მგონია ნაცნობი სახეა მეთქი, ის იყო, რაც იყო, მე მარტო შევხედე და დავეთანხმე სპეციალურად, თან ვიცოდი, რომ საშკას ნორმალური „აბაროტები“ აქვს და ტყვილად არ იჩალიჩებს.

**მ.** რას ნიშნავს ნორმალური „აბაროტები“?

**მ1.** ვხედავდი, რა წრე აქვს მაგას. კარგ მანქანებზე დადიოდნენ, სულ მუდამ „პლანს“ ეწეოდა, სულ „წამალი“ ჰქონდა, ფული ჰქონდა! ... ამიტომ ვიფიქრე, რომ რაღაცით არის დაკავებული!

**მ.** აბა, ვინ მისცა საქმე, შენ ვერ მეტყვი? ვიღაცა მე-3 იყო მანდ, ვისაც ყველა იცნობდა.

**მ1.** საშკას მაგასთან უნდა შეეხვედრებინა ჩემი თავი, მაგრამ მე მგონია, რომ ის მაგის ნათესავია!

**მ.** ვისი?

**მ1.** იმ აზერბაიჯანელის!

**მ.** ვინც მანდ მანქანაში იჯდა?

**მ1.** არა! ბინის პატრონი, ვინც იქ ცხოვრობდა!

**მ.** გვერდით მცხოვრებმა მისცა საქმე?

**მ1.** არა, იმის ნათესავი!

**მ.** ვერ გავიგე!

**მ1.** ვისი ბინაც არის, მაგისი ნათესავი....

**მ.** /აწყვ/. მოდი დავაზუსტოთ, ვის ბინაშიც შედიოდით, იმ აზიევის, ხო? მაგისი ნათესავი გვერდით ცხოვრობს?

**მ1.** არა, მე არ ვიცი, მე ის არ მინახია, მაგრამ მე ვიცი, რომ მაგან მისცა პირადათ საშკას.

**მ.** ვინ მაგან?

**მ1.** ნათესავი!

**მ** აზიევის?

**მ1.** ხო, ბინის პატრონის!

**მ.** სად ცხოვრობს იგი?

**მ1.** მე არ ვიცი, მე ის არ მინახია, მე საშკას ბინაც არ ვიცი!

**მ.** რა ჰქვია მაგას, ვინც საქმე მისცა?

**მ1.** /ფიქრობს/ არ ვიცი, არ მახსოვს!

**მ.** გაიხსენე, გაიხსენე!

**მ1.** ვერ ვიხსენებ!

**მ.** როგორ? შენ საქმეზე მიდიოდი, როგორც იძახი და არ შეეკითხე?

**მ1.** რათ მინდოდა? ისინი მოილაპარაკეს, დააზუსტეს, მე ხომ არ შევეკითხებოდი, „ვინ მოგცა ნაკოლი?“ ესე ხომ არ ხდება?

**მ.** რატომაც არა? შენ ხომ საქმეში იყავი?

**მ1.** მე კი ვიყავი საქმეში. თუ მივდივარ, ვთანხმდები წავიდე სამუშაოზე, რათ მინდა ვიკითხო, „ვინ მოგცა, როგორ მოგცა?“ ჩემთვის უკეთესია, რომ არ ვიცოდე!

**მ.** არა, შენ გქონდა მაგის უფლება გაგეგო!

**მ1.** არა, მე ვიკითხე „რა სიგნალია? ნორმალური? კარგი?“ და მაგან მიპასუხა, „ხოო, კარგი კაცია, ჩვენიაო“.

**მ.** როგორ აგიხსნა, რომ ჩვენი კაცია?

**მ1.** ის ნათესავია და იქ გვერდით იქნებაო! ყველაფერს დააზუსტებსო...

**მ.** /აწყვ/ ის სახლში უნდა ყოფილიყო?

**მ1.** ის სხვა მანქანით იქნებოდა, ნახავდა, რომ გამოვიდოდა პატრონი, და ჩვენ გვეტყოდა: „ვსიო, გამოვიდა სახლიდან“.

**მ.** გასაგებია! ეხლა შენ მითხარი, ვინ მოდიოდა შენთან „ბლატნოი“ ამ საქმის მერე.

**მ1.** მაგისი უბნელები!

**მ.** ვინ უბნელები? რამდენი იყვნენ?

**მ1.** მანქანით იყო, მე დამირეკა და მითხრა: „ამოდიო, დიღომშიო“, ავედი და...

**მ.** /აწყვ/ ვინ დაგირეკა? მისი ძმა? ვაზაგაშვილის?

**მ1.** არა, მე მაგათ კარგად არ ვიცნობ, მე კარგად ვიცნობ საშკას, რა!

**მ.** ეხლა საშკას ჩემმა მტერმა იცნობდეს კარგად!

**მ1.** არა, მე მაგასთან მქონდა ურთიერთობა! ჩემთან მოდიოდა სახლში!

**მ.** შენზე როგორ გამოვიდნენ ეგენი?

**მ1.** საშკას მიერ!

**მ.** საშკას როგორ? საშკა ხომ მოკლეს?

**მ1.** მერე უკვე ვსიო!

**მ.** შენ ხომ თქვი, რომ იმის მერე მოვიდნენ შენთან?

**მ1.** მერე მოვიდნენ?

**მ.** ვინ მოვიდა?

**მ1.** დამირეკა!

**მ.** ვინ?

**მ1.** მე ვერ ვიხსენებ, მაგრამ, მოვედი მაგათ უბანში, დიღომში...

**მ.** ე, ედო, ის არ გახსოვს, ეს არ გახსოვს, ვერ იხსენებ?

**მ1.** არა, მე დაახლოებით რაც მახსოვს...

**მ.** მე რომ დამერეკა შენთან და მეთქვა... /?/. შენ მოხვიდოდი?

**მ1.** ნუ, მოვედი, და მეუბნება, რომ უნდა შევხვდეთ! რაღაცა არის დასაზუსტებელიო.

**მ.** რა? რასთან დაკავშირებით?

**მ1.** საშკაზე!

**მ.** რა საშკაზე?

**მ1.** დასაზუსტებელი არისო და ვილაპარეკეთ, მე მაგათ ვუთხარი, რომ „ხო შეხვედრილი გქვონდა“, ჩვენ უბრალოდ გვაინტერესებს, რატომ მოხდა ესეო, როგორ მოხდა, ჩვენ ყველასთან ვხვდებითო, გვაინტერესებს, იქნება „პადსტავა“ გაჩალიჩება იყო? იმიტომ, რომ ეს არ იყო სამუშაო პროცესი, ისინი ადგილზე მიაძინეს! ეს ლაპარაკი იყო მე და ვუთხარი კი ბატონო, ესე და ესე იყო, იმ დღეს შეხვედრა გვქონდა, ჩვენ უნდა წავსულიყავით ვაზისუბანში, მე უნდა დავმჯდარიყავი საჭესთან, საბაგისროსთან, იმიტომ, რომ მე ის გზები არ ვიცი...

**მ.** დააზუსტე, სად, საქმეზე?

**მ1.** არა, დამაცადეთ, მე შემეშალა, ეს ვაზისუბანში კი არა, ვარკეთილში იყო!

**მ.** ვარკეთილში მიდიოდით საქმეზე?

**მ1.** ხო, ვარკეთილში! რატომ ვთქვი ვაზისუბანი? მაგრამ ის აზერბაიჯანელი, პირველი სართული, ლილოში მოღვაწეობს, იქ ბიზნესი აქვს...

**მ.** გვარი არ გახსოვს?

**მ1.** გაჩვენებთ ბინას, რა მნიშვნელობაა? მოპირდაპირე მხარეს მაგის ცოლს სალონი აქვს.

**მ.** საპარიკმახერო?

**მ1.** ხო! და ცოლი სომეხი ყავს!

**მ.** იმ აზერას, ხო?

**მ1.** ხო, სომეხია!

**მ.** ეხლა შენ მე მითხარი, ისინი რამეს გაწვებოდნენ?

**მ1.** არა, არ მაწვებოდნენ!

**მ.** შენ მარტო ახვედი იქ? სალაპარაკოდ?

**მ1.** ხო!

**მ.** და მერე რა? ვინ იყო? ვინ გებაზრებოდა?

**მ1.** მე ერთი-ერთზე ველაპარაკებოდი იმ ბიჭს, მაგრამ 2-ჯერ ნანახი მყავს საშკასთან ერთად, ერთხელ საბილიარდოში ვიყავით რუსთაველზე, იქ ვნახე ერთხელ.

**მ.** რომელ ზონაში იჯდა ის? ეგ რა „ბლატნოია“?

**მ1.** ხო!

**მ.** ქურდია?

**მ1.** არა! რა ქურდი? უბრალოდ „ბლატნოი“!

**მ.** რა ნომრიდან გირეკავდა?

**მ1.** მობილურზე დამირეკა!

**მ.** ჩაწერილი გაქვს?

**მ1.** არა, მაგათი ნომრები არა მაქვს, მე მაქვს საშკას ნომერი!

**მ.** რა გააჭირე ამ საშკათი!

**მ1.** აგერ მობილური მაქვს და შეიძლება ვნახოთ!

**მ.** როდის დაგირეკეს?

**მ1.** როდის დამირეკეს? 2 კვირის წინ იყო!

**მ.** 2 კვირის წინ. და შენ ახვედი სად? დიღომში?

**მ1.** ხო, დიღომში!

**მ.** სად? რა ადგილას?

**მ1.** იქ, სადაც სპორტული კომპლექსია, ხომ იცით, იქ ცალმხრივი გზა არის, ბოლომდე თუ გახვალთიქ სახინლეა ერთი და იქ კუთხეში, საერთოდ იქ ვხვდებოდით ხოლმე...

**მ.** ხოლმე როგორ? რამოდენიმეჯერ შეხვდი?

**მ1.** ხო, აბა, არა ერთხელ მყავს ნანახი!

**მ.** იმის მერე რაც კორტებზე მოხდა, იმის მერე რამდენჯერ შეხვდი?

**მ1.** ერთხელ!

**მ.** მომიყევი ამ შეხვედრაზე!

**მ1.** შევხვდით იქ, იმ კუთხეში, ....

**მ.** მაგან გითხრა მოდიო?

**მ1.** ხო, თუ შეგიძლია ამოდი, სალაპარაკო მაქვსო. მე ავედი, და ის მეუბნება, ესეთი სიტუაცია არისო, ეს მკვლელობაა და ჩვენ გარკვევა გვინდაო, იქნება ვინმემ ჩაუშვა ან რა იყო. მე ვუთხარი, არ ვიცი მეთქი, არ დავუმალე და ვუთხარი, რომ შეხვედრა გვქონდა, არ ვუთხარი, რომ უარის თქმა მინდოდა.

**მ.** მოდი შენ იცი, როგორ მელაპარაკე, ჩათვალე, რომ მე ის ტიპი ვარ და შენ ენაზე, შენი ჟარგონებით მელაპარაკე!

**მ1.** მე მქონდა შეხვედრა საშკასთან, უნდა მოსულიყო, „სტრელკა“ მომცა 9 საათზე. ხო, 9 საათზე უნდა მოსულიყო.

**მ.** სად?

**მ1.** საბაგიროსთან!

**მ.** ხო, შენ დაურეკე, თუ თვითონ დაგირეკა?

**მ1.** არა, დამირეკა! ერთი პატარა „ნიუანსი“ იყო, ისინი აქამდე 1 ან 2 დღით ადრე, მაქსიმუმ 2 დღით ადრე, გვქონდა შეხვედრა, რომ წავსულიყავით და გვენახა, როგორია იქ გამოსვლის ვარიანტები მანქანით...

**მ.** საქმის მერე, ხო?

**მ1.** არა, იმ შემთხვევამდე, კორტებზე!

**მ.** გამოსვლა საქმის მერე, ხო?

**მ1.** ხო, საქმის მერე რა, სამუშაოს მერე, და მაგან დამირეკა და მითხრა, პატარა საქმე მაქვსო და ვერაო, მანამდე ჩვენ შევხვდით „კანარგოსთან“ მარჯვნივ პირდაპირ...

**მ.** ედო, მიდი რა იმ შეხვედრაზე მომიყევი, კორტების მერე, სად შეგხვდა ის ტიპი და რას ბაზრობდა?

**მ1.** კარობჩე, ედო, მე მიცნობო, უბრალოდ გავიგოვო, დავაზუსტოვო, ყველაფერიო. პატარა ნიუანსიც გაიხსენეო...

**მ.** აიღე შენც გაიხსენე ყველა პატარა ნიუანსი!

**მ1.** ხო, რა, გაიხსენეო რა მოხდაო, ვისთან იქნება შეხვედრა ჰქონდაო, ბოლო ხანებში ეგენი რაღაცა საშკასთან ცოტა ცუდათ იყვნენ. ხოტა სპორი მოუვიდათ! არ ვიცი წამალზე თუ პლანის ამბავზე, არ ვიცი! ეგრე ნაღდათ ვიცი რომ იყო, იმიტომ რომ საშკამ თვითონ მითხრა, რაღაცა წავიხიპიშეო მაგასთანო! ხო და ვსიო! მეც ვუთხარი, კარობჩე ისეთი იყო ამბავი, უნდა მოსულიყო მანამდე, უნდა წავსულიყავით ის ბაითი უნდა დაგვედგინებინა, იმიტომ, რომ ვიყავით სულ ერთხელ რა მისულები, რა, და უნდა გვენახა ეგ ბაითი, იმიტომ, რომ მანდ... ნუ რომელი საათისთვის... იმ ტიპთან უნდა შეხვედრილიყო, ის ბიჭი მეთქი არ ვიცი ვინ არის, იმ პატრონის, ვისი ბაითიც უნდა „დაგვაყენებინა“, იმისი ნათესავია!

**მ.** რანაირი ნათესავია?

**მ1.** ახლო რა! იმიტომ, რომ ის გვაწვდიდა მთელ ინფორმაციას!

**მ.** რა ინფორმაციას?

**მ1.** აი, რომელ საათზე გამოვა!

**მ.** ფულზეც მაგან უთხრა?

**მ1.** კი, მაგან თქვა, რომ უმდა ჰქონდეს 30 ათასი! მინიმუმ, 30-მდე უნდა ყოფილიყო!

**მ.** 30?

**მ1.** ხო!

**მ.** რა ფული იყო ეს? საქმიდან, ბინა გაყიდა თუ რა?

**მ1.** არა, მაგას კარგი ბიზნესი ჰქონდა და კიდევ გაფაროვება უნდოდა, მოკლედ, 30 ნაღდათ აქვსო!

**მ.** ... და რა? ბინის ყიდვა უნდოდა თუ საქმის გაფართოვება!

**მ1.** ან გაფართოება, ან ბინა, ორიდან ერთი, მაგრამ ეს თანხა იყო დასახელებული! მაგის გარდა ოქროც ჰქონდა! იმავე სადარბაზოში მე-7, ან მე-8 სართულზე კიდე ბინა აქვთ! ამ ბინის პატრონს!

**მ.** გაიხსენე რა იმის გვარი, ვინც ნაკოლს გაძლევდა!

**მ1.** მე არც მიკითხია, ვინ არის, რაში ვიკითხავდი? ეს ცუდი ტონის ნიშანია, მე რაში მჭირდებოდა? თვითონ დააზუსტეს და თქვეს, საჭესთან დაჯექი, ყველაფერი ნორნალურად იქნება, 30 ათასია და შენ შენ 5 ათასს აიღებ, რა!

**მ.** შენ 5 ათასი უნდა აგეღო?

**მ1.** ხო, რა!

**მ.** ე.ი. 30 ათასიდან 5 ათასი, რამდენნი იყვნენ? ოთხნი? არა, ხუთნი!

**მ1.** სამნი შედიან ბინაში...

**მ.** შენ მანქანაში იჯექი!

**მ1.** მე მანქანაში და მეოთხე — ვინც საქმე მოგვცა!

**მ.** და რატომ 5 ათასი?

## „300 არაგველთან“ „ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ბანკის“ ფილიალი გაიხსნა

მეტროსადგურ „300 არაგველის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ, წინანდლის ქუჩისა და ქეთევან წამებულის გამზირის კვეთაზე, „ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ბანკის“ ფილიალი გაიხსნა.

როგორც ბანკის ხელმძღვანელმა, ნატალია კვანტალიანმა „ვერსიას“ განუცხადა, ბანკის ახალ ფილიალში მსურველებს სისხლის ჩაბარება საქართველოში ყველაზე მაღალი ანაზღაურებით შეეძლებათ.

ამასთან, ახალ ფილიალში სისხლის ყიდვაც იქნება შესაძლებელი.

წინანდლის ქუჩისა და ქეთევან წამებულის გამზირის კვეთაზე გახსნილი „ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ბანკის“ ფილიალი უანგარო დონორებსაც მოემსახურება.

აქვე, შეგახსენებთ, რომ „ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ბანკი“ საქართველოში ყველაზე ძველი და დიდი ტრადიციების მქონე ბანკია.



1. ჩონ-ჩხის მთავარი ნაწილი
2. მიწის თხილი
3. მაგარი და წვნიანი ჯიშის მსხალი
4. მხარე დასავლეთ საქართ-ველოში
5. ვულკანი კუნძულ სიცილიაზე
6. აშშ-ის ექსპრე-ზიდენტი
7. ხვლიკის მსგავსი ცხოველი
8. თაგვის საცხოვრებელი
9. სოფელი ოზურგეთის რაიონში
10. აზნაურის წოდება ესპანეთში
11. კაკლის გა-რეთა მაგარი გარსი
12. ელექტრო-მოწყობილობა ხმოვანი სიგნა-ლის მისაღებად
13. მომ-ღერალი ... ფიცჯერალდი
14. ნახვრეტი თავდაცვით ნაგებ. ქვემეხის სასროლად
15. ქართული დასახლება ბამ-ზე
16. მშვიდი და ხმადაბალი საუბარი
17. (ძვ.) სიცხ-იანის სადები წამალი
18. კაბო-ვერდეს დედაქალაქი
19. ქარების მბრძანებელი ბერძნულ მი-თოლოგიაში
20. სირ-აქლემას მსგავსი ფრინველი
21. ბერძნულ მითოლოგიაში: მეფე, რომ-ლის ბინძური თავლები ჰერაკლემ გაწმინდა
22. ხელის ძველებური ცეცხლსასრო-ლი იარაღი
23. ხის ცხენით დაპყრობილი ქალაქი
24. ანტილო-პას სახეობა
25. სამ-კუთხა მცენარე
26. მოძრავი კიბე მეტროში
27. იგივეა, რაც იალქანი
28. ინგ-ლისელი მწერალი
29. იაზონის ხომალდი
30. დაბალი და ფართო დივანი
31. ხატაეთის მეფე „ვეფხის-ტყაოსანში“
32. ჭაბუა ამირეჯიბის „... მბორ-გალი“
33. მამალი კვიცი
34. ვენეციელი მენავეების სიმღერა
35. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ექსკაპიტანი ... კინი
36. წვრილი ქვიშა
37. ჯუჯა სახელმ-წიფო წყნარ ოკეანეში
38. სურ-ნელოვანი მწვანილი
39. წიწვოვა-ნი ტყის ზოლი ციმბირში
40. თმის მცენარეული საღებავი
41. ახალშო-ბილი, თოთო ბავშვი
42. ერთი სახელმწიფო მეორის ტერი-ტორიაზე
43. შოკოლა-დის ხე ანუ ...
44. პატარა ჩანთოსანი დათვი
45. ადგილობ. მკვიდრთა იძულებით დასახ. ადგილი
46. ბულგარ-ელი ნათელ-მხილველი
47. ბილიარ-დის სათამაშო ჯოხი
48. „სამხ-ედრო ფერი“
49. ფრანგი ფერმწერი
50. დადგენ-ილი საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში
51. „12 სკამის“ ერთ-ერთი ავტორი
52. ინტერნა-ციონალური მდინარე ევროპაში
53. გა-დასახადის სახესხვაობა
54. წამლის ბურთულა
55. ამერი-კული როკ-ჯგუფი
56. შეწეული სტრიქონი ტექსტში
57. საალერსო სიტყვა, „ჩემო თვალისჩინო!“- ასე მიმართავდა ცოლი ქმარს სამეგრელოში
58. იგივეა, რაც თო-ფისწამალი
59. მუსო-ლინის სახელი
60. დიდი ვენახი
61. რაიმე ტექსტიდან უცვლელად მოყვანილი ადგ.
62. ქაჯანას დის სახელი
63. აიეტის სამეფო
64. დულსინეას ნამდვ. სახელი
65. კალათ-ბურთის „დაფა“
66. ლოცვის დასკვნითი სიტყვა
67. უმცი-რესი ორნიშნა რიცხვი
68. სამაგიდო თამაში
69. ათცენტიანი მონეტა აშშ-ში
70. ცუდი ამინდი
71. საყანედ გაკაფული ტყე
72. თბილისის ერთ-ერთი უბანი
73. რძიანი ყავა
74. გა-დაშენებული მორბენალი ფრინველი
75. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა
76. სამხედრო ნადავლი
77. სპილოს წინაპარი
78. ფრანგი კომპოზიტორი
79. სუფრის ხელმძღვანელი
80. რომის პაპის გვირ-გვინი
81. ცხიმოვანი სიმსივნე
82. წიწვოვანი მცენარეების წვენი
83. შინაური ცხოველი
84. ესპანური ხალხური ცეკვა
85. ლატვიის დედაქალაქი
86. ქართული ანბანის V ასო

# რონალდუზე სასწავლო კურსს წაიკითხავენ

ბრიტანული კოლუმბიის (კანადა) უნივერსიტეტმა მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელთან, კრიშტიანუ ტრონალდუსთან კოტრაქტი გააფორმა. პორტუგალიელი სპორტსმენი პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისთვის შესწავლის ობიექტი გახდება. ფეხნურთელის დახმარებით უნივერსიტეტში შექმნიან კურსს: „რონალდუ: როგორ იქმნებოდა ლეგენდა“. სოციოლოგიის ფალულტეტის სტუდენტები შეისწავლიან „ოქროს ბურთის“ სამგზის მფლობელის ცხოვრების დეტალებს და მას ფეხბურთის მოედანზე სპორტსმენის წარმატებებთან დააკავშირებენ. აღსანიშნავია, რომ ბრიტანული კოლუმბიის უნივრსიტეტი პლანეტის ყველაზე პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლებს შორისაა, კანადაში კი მეორეა. უნდა ითქვას, რომ ცნობილი ადამიანების მიმართ სასწავლო დაწესებულებების ყურადღება ახალი არ არის. ჯერ კიდევ 2009 წელს ბრიტანელი ფეხბურთელი დევიდ ბექჰემი გახდა მსგავსი კვლევის ობიექტი.

## იაპონელების ახალი „სიგიჟე“

ამომავალი მზის ქვეყნის ახალგაზრდობა ჭკუაზე არ არის ახალი და მეტად უჩვეულო დიზაინერული ტრენდის გამო. ეს ქვედაბოლო ჯიკარუა, რაც „მანათობელ ბოლოს“ ნიშნავს. იაპონური მოდის ამ ახალი ტენდენციის ავტორი დიზაინერი კიოუკი ამანოა. ქვედაბოლოს ჩაკერებული აქვს მანათობელი მასალა, რომლის წყალობითაც ანათებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი „განათება“ საშუალებას იძლევა, კაბის პატრონის ფეხები საგულდაგულოდ დაათვალიეროთ.

## ათასი დოლარი ერთ წუთში



ფილადელფიაში ტაქსის მძღოლმა, თითქმის ათასი დოლარი მიიღო კლიენტისგან, რომელმაც მისი მომსახურებით მხოლოდ ერთი წუთით ისარგებლა. მგზავრმა, რომელმაც მძღოლს მის ცხოვრებაზე გამოკითხა, მადლობა გადაუხადა სალონში სისუფთავისთვის. ამის შემდეგ კი გააჩერებინა მანქანა. მგზავრობისთვის, რომელიც ერთ წუთზე ცოტა მეტი გაგრძელდა, უცნობმა მამაკაცმა ოთხი დოლარი გადაიხადა, მაგრამ „ხურდად“ ტაქსის მძღოლს 990 დოლარი დაუტოვა. როცა გაოგნებული მძღოლი მგზავრს დაეწია და შეცდომის შესახებ აუწყა, უცნობმა ქველმოქმედმა მას მხოლოდ ბედნიერი დღე უსურვა.

## დიდი ქალაქები სახლოგრებლად უვარგისი გახდება

ავსტრალიელი მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მომავალში მეგაპოლისები საცხოვრებლად უვარგისი იქნება. XXIII საუკუნის ბოლოს, კლიმატური ცვლილებების გამო, ტენიანობა და ტემპერატურა მსოფლიოს უდიდეს ქალაქებში ისეთ ნიშნულს მიაღწევს, რომ ადამიანები ამ პირობებში, უბრალოდ, ვერ იარსებებენ. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ მოსკოვში, დელიში, სიდნეიში, რიო-დე-ჟანეიროსა და სხვა მსვილ ქალაქებში ისეთი სიცხე და ტენიანობა იქნება, რომ ასეთ ატმოსფეროში სუნთქვა პრაქტიკულად შეუძლებელი გახდება. ხალხი იძულებული იქნება, საკუთარი საცხოვრებლები მიატოვოს. უნივერსიტეტის სწავლულებმა დასკვნები მსოფლიოში კლიმატური ცვლილებების სიჩქარესა და საშუალო წლიური ტემპერატურის ზრდის დინამიკის მიხედვით დადეს. მათი თქმით, ამ გაუსაძლისი პირობების დადგომამდე 300 წელი აღარც კი რჩება. მეცნიერები დასკვნებს კონკრეტული მაგალითებით ამყარებენ. მაგალითად მოჰყავთ 2003 წელი, როცა ზაფხულში ევროპაში ანომალიური სიცხეების გამო, ათასობით ადამიანი დაიღუპა. მარტო იტალიაში მათმა რიცხვმა 4 ათასზე მეტი შეადგინა, საფრანგეთში, რომელიც ხვატისგან ყველაზე მეტად დაზარალდა, 13 ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა.


# ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.